

№ 1

1 იანვარი 1914 წ.

მოდერნის განვითარების კულტურული
მოძღვრის ფასი

= 3 გან. =

ქოველ კაბინეტი საზოგადო-ეკონო.

ცალკე ნომერი 5 კაპ.

შიდა და სალიტერატურო ჟურნალი

რედაქცია ლია 9—3 საათ.

ვალიზაზი მესახ

მისამართი: თბილისი, გაბაევსკის ქ. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპუტია: თბილისი კლდე.

იგეჭრება და იანვრის პირველ რიცხვებში ჩატარებული დაურიგდება.
გა ხელის მომწერთ წარსული წლის 5 თებერვალი „კლდე“ რედაქციისაგან: ცნობილი მუხლისცისტის ად. ფრონტელის მონოგრაფია: „**გიგანტის პრიზი მაგისტრი**“ მომავალი წლის პრემია დაურიგდებათ
ხელის მომწერთ 1914 წლის მაისი

მიღება ხელის მოწერა 1914 წ.

ქოველ კაბინეტი საზოგადო-ეკონომიკურ

და სალიტერატურო ჟურნალ

„კლდე“-ქაბ.

ფ ა ს ი:	1 წლით.	3 მან.
	6 თვით.	2 მან.
	3 თვით.	1 მან.

ცალკე ნომერი ეგვიპტი 5 კაპ.



რ ე დ ა ქ ც ი ი ს ა გ ა ნ

ჯავახებთ რა ხელის მომწერთ, რომ ზოგიერთზე დარჩენილია 1913 წლ. ხელის /მუსაწერ-
რი ფასის ნაწილი, გსონილი გამოგზავნონ 1914 წლ. ქურნალის ფასთან „შროვადების“
აღმდეგ შემთხვევაში შემდეგი ნომრიდან მოქმედობა ქურნალ „პლიტის“ გნავნა.

- ს ა რ ჩ ვ ი ს 0:
1. შეთაური.
 2. ქართული პრეს 1913 წ.
 3. ხიზანთა საქმე შეტერბულგმი.—ან-ფა-
რისა.
 4. რისთვის შაჟლოცვი—ეკალისა.
 5. შე შეურს სიცოცხლე.
 6. შრარყადის ცახე.—სოთხოობა ეკ.გაბაშვილისა.
 7. ნაცვლები.—რიშ
ბაბასი.
 8. უკანასკნელი ამბება.
 9. სასალწლო ფოსტა.—ლიმონასი.
 10. ქართული
თავატრი 1913 წ.—რაესა.

1 იანვარი, 1914 წელი

გილოცავთ ახალ წელიწადს, მკითხველო! ასეთია ბუნება ადამიანისა, რომ იგი იმედი-
თა სკეოვრობს, რადგანაც მისი გაუძლომე-
ლი გული არას დროს არ არის კმაყოფილი
წარსულითა და აწმუნთი და ახალი წელი-
წადისაგან მოელის ხსნასა და შვებას. ყო-
ველ წელს, რაც უნდა ბედნიერი ყოფილი-
ყო იგი ჩვენთვის, უდიერად და უმაღურად
ხელსა ვკრავთ და საუკუნეთა უფსკრულისა-
კენ წყევლა-კრულვით ვისტუმრებთ, რადგა-
ნაც კიდე ბედნიერებისა მიუწვდომელია და
უფსკრული ჩვენი სურვილების ალუვსებელი.
ახალი წელი მოვა, ახალ ბედნიერებას მოგ-
ვიტანსო ვიმედოვნებთ, თორებ მართალი
რომ ვთქვათ რა მისალოცია ახალი წელი!
ყოველი ახალი წელი ხომ სამარისაკენ მიგ-
ვიძლვება, ხომ იმას ჩავვჩიჩინებს ულმობელი
ბუნება: ეს ერთი წელიც ხომ გამოვგლიჯე
შენს ხანმოკლეობასაო! ყველა იმას, ვისაც
ბედმა უმუხლო და აღარ შერჩენია სასი-
ცოცხლო ძალა, ვისაც დაემსხვრა ლაშაზი
იმედები და მომავალი მისთვის დასუდრუ-
ლია, ვისიც გულის, გავლილმა წელმა გადუ-

ვალი იარა დააჩნია და არც ახალი წელი
უქადის წყლულის გაბათილებას, მას კიდეც
მიელოცვება ახალი წელი, რადგანაც იგი
უახლოვდება ტანჯვის დასასრულს, მაგრამ
ყველა მას, ვისაც სიცოცხლე მოსწონებია,
კიდეც დამტკბარა, ვისაც სიამით მოევლინა
და სიამითვე გაატარა ძველი წელიწადი,
იმას ვერ მივულოცავთ ახალ წელიწადს,
რადგანაც იგი ახალია—უცნობი და შეუჩვე-
ველი და ხომ გაგიგონიათ: შეჩვეული ჭირიც
სჯობია შეუჩვეველს ლხინსაო.

ეს ხომ ასეა, მაგრამ მაინც გილოცავთ
ახალ წელიწადს ყველა სულით და გულით
ქართველს, რომელსაც არა რცხვენია რომ
იგი ქართველია და სხვის ქურქში არ ეხვე-
ვა, რომელსაც საკუთარ „მე“-სთან ერთად
არც თავისი ერი და თავისი სამშობლო მხა-
რე დაუვიწყნია, რომელსაც ქვეყნის სიკეთე,
საკუთარ ბედნიერებად მიაჩნია და უბედუ-
რებას მისას გულდათუთქული ჭირისუფალი-
ვით იზიარებს.

სოციოლოგიაში ორგანიული ოეორია,
სამწუხაროდ, ჩვენს დროში უარყოფილიც
რომ არა ყოფილიყო, მისი უსაფუძვლობა
იქიდგანაც კი მტკიცდება, რომ „საზოგადო-
ება—ორგანიზმის“, „ერი—ორგანიზმის“ შე-

მადგენელი ნაწილები, ცალკე ინდივიდებს რომ თავი დავანებოთ, თვით ჯგუფები, წო- დებანი, კლასები ერთურთის დახმარების და სოლიდარობის ნაცვლად, ერთმანეთის მო- პირდაპირებად, ანტაგონისტებად, მოწინა- ალმდეგებად გამოდიან. რამდენადაც უფრო რთულდება (კბოვრება, ვითარდება საზოგა- დოებრივობა, ეს განთვითება, ერთი ერთეუ- ლის დანაწილება, დიფერენციაცია უფრო მკაფიო ხასიათისა ხდება. მაშასაღამე, ნუ ვვიკვირს, და ნურც სასოწარკვეთილებას ვეძლევით თუ ჩვენი ერიც მრავალ სხვა და სხვა მოწინააღმდეგე ბანაკებად დაყოფილია და დარაზმული. მაგრამ ამავე დროს ისინიც მართალნი იყვნენ ვინც კლასთა პრძო- ლის იქითაც ჰბედავდა გადახედვას და ვინც ჰედავდა, რომ ყველა „კლასებსაც“ თავზე ერთი სამშობლოს ცა ჰქონდავს, რომ არის ხოლმე ისეთი დიადი მომენტები, როდესაც ამ მტერთა გზანიც დროებით ერთდებიან; ეს დანაწილებული „სხეული“ ერთდება, და როგორც ერთი განუყოფელი ერთეული, გრძნობს მომენტის სიმწვავეს. და არა ერთი და ორი მომენტი იყო წარსულ წელს ასე- თი ერთსულოვნების გამამტკიცებელი ჩვენს საზოგადოებაში და ჩვენს პრესაში.

ბედის უკუღმართობამ დიდი ხანია ქარ- თველების მაჯის-ცემა მიასუსტა და სამხრე- თის შეილთა ბუნებით მოდუნებული ენერ- გია, უფრო მოადუნა და გაამეფა გულგრი- ლობა, დაუდევრობა. ჩვენს ბედში მყოფ ერისათვის კი ეგ ფსიხიკა დამღუბველია და აი, გასული წელი იმით არის საყურადღე- ბო, რომ ამ დროს ერთობ ძლიერად და საგრძნობლად ჩაგვერა თავში საშინელმა სი- ნამდვილებმ. ამ დროს უფრო დაუინებით დაგვიკაკუნა კარები ერის მოზღვავებულმა საჭიროებამ და ძილი გაგვიკროო.

გასულმა წელმა უფრო ცხადათ დაგვარ- წმუნა რომ მტერს არა სძინავს და დაულა- ლავად სცდილობს სამარე გაგვითხაროს; დაგვარწმუნა რომ ტყუილად ვიმაღავთ სი-

რაქლემასავით თავს და ტყუილად გვგონია მტერიც ვერა გვხედავსო. ჩვენი კბოვრების მეთვალყურე გვერდს ვერ აუხვევს, იმ ცხადს სინამდვილეს, რომ გასულ წელში ბევრი ისეთი საკითხი დაგვებადა, რომელმაც ერთ- ნაირად ააძვერა ყველა ქართველის გული, ბევრი საკითხი გამოვიდა ბუნდოვან ფრაზე- ოლოგის სამეფოდან და გარკვეულად და- ისვა გადასაწყვეტად.

ძნელი სათქმელია რომელ საკითხს უფ- რო დიდი მნიშვნელობა აქვს, რომელი უფ- რო საინტერესოა და საჭირობოროტო ჩვენი ქვეყნისათვის. თითქოს განვებ, გასულ წელს აღძრული საკითხები თანასწორად დიდ- მნიშვნელოვანი გამოდგა, თითოეული მათ- განი, თავის თავად ძირითადი საკითხია ჩვე- ნი ეროვნული თვითშეგნებისათვის.

აბა თუ უმნიშვნელო იყო არჩევნები მე-IV სათათბიროში! განა ჩვენს მომავალ ისტორიაში როდისმე დავიწყებას მიეცემა და მნიშვნელობა დაეკარგება იმას, რომ „ქართველი“ ს.-დემოკრატია და მისი იდეა- ლები თურმე ისეთი „ძლიერი ყოფილან, რომ თვით მის მტრებსაც აიძულებს იარა- ლი მის ფეხთა ქვეშე დააწყონ?“ — ასე ახსნა სომხის ბურჟუაზიის დახმარება ს.-დემოკრა- ტების ერთმა ძველმა და გამოცდილმა ლი- დერმა. განა ძვირფასი არა არის ჩვენთვის ეს შემთხვევა, განა ჩვენს ერს თვალები არ უხ- და აუხილოს ს.-დემოკრატების და სოლო- ლაკელების ასეთმა ერთსულოვნებამ? განა საკმარისი არ არის ამხანავ არშავ ბაბოვის და ხატისოვის „სიხარულის წრფელი ცრემ- ლები“, რომ ყოველი ქართველი დააფიქ- როს და პირჯვარი გამოასახვინოს!

ან თუ კახეთის რკ. გზის გარშემო ატე- ხილი დავა და აზრთა შეჯახება იყოს უმ- ნიშვნელო ჩვენი თვითშეგნების გამოსარკვე- ვად. სწორედ გასულ წელს დამთავრდა ეს საკითხიც და დაგვანახვა ვინ საით ხრის სას- წორს, ვინ რა მისწრაფებით არის სულ- ჩადგმული და ვის რა რიგ სურს საქვეყნო

საქმეში ხელის მოთბობა. მეისის 1913 და ისრები, ერთი ბაქოსკენ იყო მიმართული და მეორე კახეთისაკენ, პირველი სომხის ბურუუაზის მადას გვიჩვენებდა და მეორე კი ქართველთა ეროვნულ ინტერესებს. ან შეიძლება ს.-დემოკრატების ბანაკში თვალსაჩინო ფუსფუსი და ეროვნულ საკითხის გარშემო ჯირითი იყოს უმნიშვნელო?!

ეს ფუქსუსი რა თქმა უნდა 1913 წელს არ გაჩენილა მხოლოდ, მაგრამ საყურადღებო ის ძვალია, რომელიც ს.-დემოკრატიამ დეპ. ჩხენკელის ხელით გადმოუგდო ხალხს.

ს.-დემოკრატია ერთობ მმოძრავი, მომქმედი და ვრცელ მასასთან დაახლოვებული პარტია ჯერ კიდევ, რომ მას არ შეემჩნია და არ ეგრძნო ის რყევა, ის ინტერესი, რომელსაც ჩვენი ერთი იჩენს ეროვნულ საკითხებისადმი და ის ისიც სცდილობს ჩვენი ცხოვრების ზღვაში ერთი ანკესიც გადის-როლოს და გვარწმუნებს - ჩვენც დიდ ყურადღებას ვაქცევთ ეროვნულ საკითხსაო. მართლაც აქა-იქ გაისმის მათი ხმაც ამ საკითხზედ და იქნებ ოდესმე გონებიანადაც გადასწყვიტონ ეს მწვავე საკითხი რომ უნი ჩვენის პარტიებისა სხვა მხარეს მიემართოს, საქმის მხარეს, საცა სამკალი ბევრია, მომკალი კი ცოტა!

1913 წელს აგრეთვე ისევ განცხოველდა დიდ-მნიშვნელოვანი საკითხი ეგრედ წოდებული „სომეხ-ქართველთა“ ურთიერთობისა და იმ ხანაში გადავიდა, საიდანაც მეტის, წურადღებით, მეტის დაკვირვებით, მეტის სიფრთხილით და სიფხიზლით უნდა მოვეკიდოთ მასა. მართალია, ეს საკითხი მარტო გასულ წელს არ წარმომდგარა ჩვენთვის, ეს „ურთიერთობა“ წლობით კი არა საუკუნოებით ისახებოდა და ვინ იცის ჯერ კიდევ რამდენ ხანს დარჩება გარდუწყვეტილი, მხოლოდ ამ წარსულმა წელმა იმით დაგვავალა რომ ბევრ რასმე ახადა ფარდა, ბევრს მოჰველიჯა ნიღაბი, ბევრს რწმენას და იმედებს გამოაცალა ნიადაგი და საკითხიც

თავისი დიდმნიშვნელოვანი სიმკაცრით დაგვიყენა წინა. ჩვენი ცხოვრების ბევრს „ფილოსოფოს“ უკვე გადაჭრილი აქვთ ეს საკითხი, მაგრამ ჯერ კიდევ დიდხანს განაგრძობს იგი „ერთ-ადგილზე სირბილის გადასაცემაზე“ სირბილის გადასაცემაზე“

ისიც ხომ ღირსშესანიშნავია, რომ ჩვენს განმარტოებულ „კლდეს“ ყოველ მხრით ეხეთქება ჩვენ მოწინააღმდეგეთა დაუღალავი და ხშირად გააფთრებული ტალღები და მტრადაცა ვართ გამოცხადებულნი ყოველი დემოკრატიული პრინციპებისა. ძველ დროში იტყოდნენ: ღმერთი ხომ ხედავს ჩემს სიმარტლესაო, ახლა კი ვიტყვით: ქართველმა ხალხმა განვითარება, — შეცდომა შეცდომად ჩაგვითვალოს, თაღლითობა-თაღლითობად, ვისაც კი ეგ აღმოაჩნდება, და სიმარტლე-სიმარტლედ.

ნუ თუ კიდევ საჭიროა სხვა მაგალითები იმის დასამტკიცებლად, რომ 1913 წელი ნაყოფიერი იყო ჩვენთვის! მართალია, მწარე იყო ჩვენთვის გასული წელი, ბევრი წყენა მოგვაყენა, სული შეგვიშფოთა, გული გვატკინა, მაგრამ მაინც ვიტყვით: დაილოცოს 1913 წელი! შენც გილოცავ მკითხველო, რომ გასული წელი ჩვეულებრივად მამა-პაპურ ძილში არ გაგიტარებია და გისურვებთ ეს მომავალი წელიც გეფხიზლოს და ისიც შინაარსიანი და სამშობლოს მეგობართა გამამრავლებელი გამომდგარიყოს.

ქართული პრესა 1913 წელს

პრესამ დიდი ადგილი დაიპყრო ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. პოლიტიკური საზოგადოებრივი ჯგუფები პრესის საშუალებით მოქმედობდნ. ხალხი უურს უგდებს მას, ხელმძღვანელობს იმ პრინციპებით რომელსაც აყენებს წინ პრესა. გაზეთი აუცალებელ მოთხოვნილებას წარმოადგენს ჩვენში, როგორც ცენტრისთვის, ისე პროვინციისთვის; ამ მხრივ 1913 წელი ქართული პრესის ცხოვრებაში

თვალისაჩინო წლიდა უნდა ჩაითვალოს. სწორედ ამ წლიდგან დაიწყო დემოკრატიზაცია ქართულის პრესისა. სიტყვა „დემოკრატიზაციას“ ვძმირობთ არა პროგრამულის მნიშვნელობით, არამედ იმ აზრით რომ საჭიროებამ მოითხოვა გაზეთი უფრო ახლო ყოფილიყო ხალხთან. უწინ მარტო თბილისი აწვდიდა მთელ საქართველოს ეურნალ გაზეთობას. წარსულ წელს კი მრავალმა ქალაქმა გაიჩინა თავისი საკუთარი გაზეთი. ნამდვილი დემოკრატიზაციაც პრესისა სწორედ ეს არის. ქუთაისს, ბათომს, სიღნაღმა, უკვე თავისი გაზეთები აქვთ. ჰქონდათ თივისი გაზეთები ქალაქ გორისაც და ბაქოს ქართულ კოლონიას. სამწუხაროდ ამ ორმა უკანასკნელმა გაზეთმა დიდხანს ვერ იარსება. ასეთივე ბედი ეწვია თბილისში ორ ყოველ დღიურ გამოცემას, „ჩვენ დროებას“ და „ჩვენ აზრს“ და ქუთათურ „ოქროს ვერძს“. ამის მიზანი უმთავრესად ხელმოკლეობა იყო, მაგრამ ეს მატერიალური ხელმოკლეობა საზოგადოთ ქართულ პრესის ორგანიულ ნაკლად უნდა ჩაითვალოს. მიუხედავად ასეთის ნაკლისა, მრავალმა გამოცემას სალია გასაჭირს და მთელი წლის განმივლობაში ასრულებდა თავის მოვალეობას.

1913 წელსაც ქართულ პრესის იმავ პირობებში მოუხდა მუშაობა, როგორც უწინ. ეს პირობები აუტანელი იყვნენ და უმთავრესად ადმინისტრატიულ ოპერატორა და ფისკური გამოიხატნენ. გაზეთის ნომრების აკრძალვა და ადმინისტრატიული ჯარიმა მუდამ მძიმე ლოდივით აწვა ქართულ ურნალ-გაზეთობას. ამ მხრივ უფრო დაზარალდნენ ქუთაისის გაზეთები. რედაქტორების სამართალში მიცემა და მათი დატუსაღება ისეთივე ჩვეულებრივი მოვლენა იყო, როგორც წინა წლებში. მაგრამ მიუხედავათ ასეთის ძნელის პირობებისა, პრესა მაინც პარნათლად ემსახურებოდა თავის დანიშნულებას.

უმთავრესი დამსახურება ქართულის პრესისა იმაში გამოიხატა, რომ 1913 წელს მან მტკიცედ ჩაუყარა საფუძველი მთავრობის კანონ-პრესექტორიტიკის. ეჭვი არ არის ამას იქით იგი უფრო მეტს გამოცდილებას შეიძენს და ყოველი ნაბიჯი მთავრობისა, რომელიც კი საქართველოს ცხოვრებას ეხება, საზოგადო აზრის მიერ უკრიტიკოდ არ დარჩება. ამას მით უფრო მეტი მნიშვნელობა ექნება მომავალში რამდენათ პოლიტიკური ხასიათი ქართულის პრესისა უფრო განმტკიცებება. ეჭვი არ არის ასეთი კურსი ქართულის პრესისა ერთის მხრივ თვით 1913 წელს მიეწერება. ეს წელიწადი სავსე იყო ისეთის მოვლენებით, რომ პრესას ბევრი გამოცდი-

ლება უნდა მიეღო. კანონ-პრესექტორი/მთავრობისა საქართველოს ცხოვრების შესახებ, კანონის რეინის გზა, სხვა და სხვა არჩევნები, კუტებებულებერატიული მოძრაობა საქართველოში, კურიტულუს სომებთა ურთი-ერთობა და მრავალი სხვა ასეთი საკითხები იყო რომელსაც პრესა უნდა იელაპარაკებინა. ცხადია, მთელი ქართული პრესა ყველა ამ საკითხებში ერთის აზრისა ვერ იქმნებოდა. პრესა საზოგადოებრივ დიფერენციალის გამომხატველია, და ამ მხრივ ქართული პრესაც აზრთა სხვა და სხვაობას წარმოადგენდა. მაგრამ იყო წუთები, როცა ქართულმა პრესამ ერთსულოვნობა გამოჩინა და ეს გამოხატა მაში, რომ მთელმა პრესამ, განურჩევლად მიმართულებისა, დაპგმო სურვილი საქართველოს ეკლესიის ივტოკეფალიის მოსპობისა. ეს გარემოება კიდევ ერთხელ ზედმეტად გვიჩვენებს, რომ ქართული პოლიტიკური აზრი გაერთიანებისაკენ მიღის და შორს აღარ არის ის დრო, როცა ზოგიერთ მთავარ საკითხებში ქართულ პრესაში მოწინააღმდეგ ეს აზრები აღარ იქმნება.

ყველა საკითხთა შორის მთავარი ადგილი ქართულ პრესაში ამ წელსაც ერთსულ საკითხს ეჭირა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ დიდ-მნიშვნელოვანმა საკითხმაც წინ წაიწია. რთულ დოგმატიულ საკითხებიდან ქართული პრესა კონკრეტიულ საკითხებზედ დაეშვა. მაგრამ ეს სასიამოვნო სოველენა ხელს არ გვიშლის მაინც ვსთქვათ, რომ მრავალ შემთხვევაში კამათი კვლავ „უგვანო საშლალებებით“ სწარმოებდა. საურთიერთო გაუბეგრობა, პოლემიკური ენი და პარტიული ჯიბრი, აი დამახასიათებელი თვისებანი როგორც ივტორებისა, ისე მათ ნაწარმოებთა. ასეთ პირობებში, ცხადია, პრესა ვერ შეძლებდა საკითხის თბიექტიურად განმარტებას და ეროვნული საკითხი, ამ მხრივ, ჩვენ უურნალ-გაზეთობისთვის უფრო casus belli იყო საურთიერთო ჩეუბისთვის, ვიღრე საზოგადო პლატფორმა, რომელზედაც შეიძლება ძალთა კონკრეტიკული. სამართლიანობას მოკლებული იქმნებოდა, რომ ასეთი საყვედური მარტო ერთი რომელიმე ჯგუფისთვის გვეთქვა და სხვებისთვის კალთა დაგვეტარებინა. სამართლიანობას მოითხოვს ვსთქვათ რომ არც ერთი ჯგუფი და არც ერთი ჯვეფის ორგანო არ იყო მოკლებული ამ ნაკლს.

დამხასიათებელ თვისებად უნდა ჩაითვალოს აგრედვე ისიც, რომ, როგორც წინა წლებში, 1913 წელსაც, ქართული პრესა, დიდი გაზეთები მაინც, სოციალისტური იყო. მართალია, ეს სოციალისტუ-

რი გაზეთები სხვა და სხვა მიმართულებისანი იყვნენ და ხშირად ერთმანეთის სოციალისტობის თოთონვე უარპყოფილენენ, მაგრამ მაინც უნდა გამოვტყდეთ, რომ ჩვენ პრესას ზომიერი ლიბერალური გაზეთი აკლია და ჩვენის აზრით, ასეთ გაზეთის როლს ვერ შეასრულებენ თვით ის გაზეთებიც, რომელთა სოციალისტობა მართლაც პრობლემატიურია. ამისთვის საჭიროა მტკიცე გარანტია შესაფერ პროგრამისა და პრინციპებისა. მოკლებულნი კვეშარიტ სოციალისტობას, ასეთი გაზეთები მოკლებულნი არიან ასეთ ზომიერ პროგრამებსაც. ნამდევილით კი ასეთ გაზეთის უქონლობა დიდი ნაკლია ქართულის პრესისთვის. გარემოებამ არა ერთხელ დაგვიმტკიცა მისი საჭიროება.

ვათავებთ რა ამ მოკლე მიმოხილვის ქართულის პრესისა, მიღხედავად ზემო ჩამოთვლილ ნაკლია და შეცდომისა ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ იგი, განურჩევლიად მიმართულებისა, ნიადაგ დარჯად უდგა ქართველ ხალხის ინტერესებს და ეკონომიკურ მოთხოვნილებათა წამოყენებით, ერთოვნულ ინტერესების დაცვით, თუ სხვა ზომიერ მოთხოვნილებათა ქადაგებით, მუდამ წინა რიგში ხალხის უფლებათა დაცვის აუკრძალა. ეს გარემოება უფლებას აძლევს ქართულ პრესის თავისი თავი ხალხის უმაღლეს ინტერესთა წარმომადგენელად ჩასთვალოს.

ხიზანთა საქმე პეტერბურგში (წერილი შეთან).

ნოემბრის უკანასკნელ დღეებში საადგილ-მამულო კომისია, სადაც ითვლება 67 დეპუტატი, შეუდგა ხიზანთა კანონპროექტის განხილვას. მომსინებელია არჩეულია ვას. აკმის ძე ხარლამოვი (კადეტი, ყაზახი, ყუბანის ოლქიდან), ხოლო თავმჯდომარეობს კომისიის ცნობილი დეპუტატი ს. ი. შიდლოვსკი (ოქტომბრისტი).

კანონპროექტის განხილვის დროს ჩამოვიდნენ პეტერბურგს აგრედვე კანონპროექტის მოწინააღმდეგენი, მაგრამ ამათ, მოგეხსენებათ, ხუთი დღე რომ უარონ გარშემო ტავრიდის სასახლეს, შიგ არ შეუშებდნენ კომისიაში დასასწრებლიდ.

1900 წ. ძველმა სახელმწიფო საბჭომ გადაშინჯა სახიშნო კანონი 1891 წლისა, კრებაზე დასტრიქციის ნება მისცა განსვენებულ გაბრიელ საყვარე-

ლიძეს, რომელმაც განუმარტა საბჭოს—ერთოორად ფასის გაღება სახიშნო საკუთრებაში (სახურ კარი და სხვა) უსამართლობაა და წესსა და ადამი ეჭინააღმდეგებო. საბჭომ შეისმინა საყვარეფუდექსატჩი და დააკანონა, რომ აურილ ხიზანს წენდაშექცეს მხოლოდ ლიტებულობა სახლვარისა, სამეურნეო შენობისა და ვენახ-ბალისა და არა ორმაგი ფასით. ხიზანდ კიდევ ისა სცნო, ვინც დასახლებული მამულის პატრონის ნებადართვით და არა ქურდულად და ძალმომრეობით. დიაბ, ძველად, კონსტიტუციის შემოღებაშ, დაინტერესებულ კაცს შეძლება პქონდა თვისი აზრი გამოეთქვა, ხოლო დღეს ეს შეუძლებელია.

ამის გაში საქართველოდან მოსულნი მოწინააღმდეგენი კანონპროექტისა იძულებულნი გახდნენ მიემართათ ქართველ დეპუტატებისთვის და ეთხოვნათ მათთვის—საშუალება მოგვეცით მოვახსენოთ საადგილ-მამულო კომისიის რაც სათქმელი გვაქვს.

მოგეხსენებათ, რომ საქართველოს სულ სამი დეპუტატი ჰყავს: ნ. ჩხეიძე, ა. ჩხენიშვილი და თ. ვ. ლ. გელოვანი. ორნი პირველნი, როგორც დასელნი, აბა რა დახმარებას გაუწევდნენ მოსულებს. დასელებმა თვისი აზრი სათათბიროს უკვე მოახსენეს წერილობით, რაც მამული უჭირავთ ხიზნებს, საკუთრებად უნდა მიენიჭოს უსასყიდლოდ.

როგორც ჰედავთ, ასეთი აზრი თვისის სიმარტივით და ქალწულობით თითქმის შეუდარებელია. საქმე ხომ ნათელია, მაკამ ქართველი რის ქართველია, რომ ოპტიმისტი არ იყვეს. მაინც უნდოდათ მათი ნახვა და ნაფიქრებისა და ნაზრევის გადაცემა ამ საგანზე. მართალია, გონება და ნება შებორკილი აქვთ დოგმებით, მაგრამ რაც უნდა იყვეს, ხომ ქართველები არიან, მათს ძარღვებში ხომ ყიზილბაშური სისხლი არა სჩექტს, ნუ თუ დასელებამ სიმართლის კბილის გაჩერეცის უნარი მოუსპოდ და ორჩაფეხიდან აღარ ჩამოვლენ, თუ კი დაუმტკიცებდნენ მოსულნი, რომ ორჯელ ორი ოთხია და არა ცხენის თავი.

სამწუხაროდ, ამ ისტორიულ „კავკასიის კვირი-იკე“, როდესაც სახელმწიფო სათათბიროს კომისიებში ირკვეოდა სამი დიდმნიშვნელოვანი, წევენის დაბეჭებულის ქვეყნისათვის კანონპროექტი, პეტერბურგში არ იყვნენ არც ჩხენკელი და არც ნ. ჩხეიძე. პირველი ფოთში ჩარჩენილიყო, არ ვიცით რად, ხოლო ჩხეიძეს მოეკურცხლა სკობელევთან ერთიად ლონდონს. იქ თურმე კონფერენციაზე

დასასწრებლად გაეშურნენ. საქმე იმაშია, რომ „ბოლშევიკებმა“ დიდის მოთმინების შემდეგ ვეღარ იტანეს „მენშევიკების“ სისხლშერეულობა და ექსორია უყვეს დასიდან. ჩხეიძეს და სკობელევს პირდაპირ უთხრეს — ვერ გიცნობთ პროლეტარიატის წარმომადგენლებად, რადგან არჩეულები ხართ საზიზლირ ბურუების ხმებითო, შიროლაც ა. ი. ხატისოვის და ბ-ნ ხუნუნცის არჩეული დეპუტატი სადაური წარმომადგენლელია პროლეტარიატის! მი სწორედ ამ შინაურ დავიდარაბის გასარკვევად ლონდონს წაბმანდა აღმოსავლეთ საქართველოს დეპუტატი. რაკი ტფილისელ ელჩებს საკუთარი დეპუტატი პეტერბურგს არ დახვდათ, მიშმართეს დასავლეთ საქართველოს დეპუტატს ვ. გელოვანს, საშუალება მოგეცით გავაცნოთ საადგილ-მამულო კომისიის ჩვენი აზრი განსახილველ კანონპროექტის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ვ. გელოვანიც შებორულია პარტიულის დისკიპლინით, რომ „მშრომელთა“ ჯგუფში ყოფნა განსაზღვრულ მოვალეობას მოითხოვს მისგან, მაინც უარი არ უთხრა ჩამოსულებს მცირე თხოვნაზე და შეპირდა გაგაცნობთ დეპუტატებს და მათ გაუზიარეთ თქვენი მოსაზრებათ. მართლაც, თ. გელოვანშა შალე გააცნო ჩამოსულებს რამდენიმე დეპუტატი, რომელთაც სიტყვიერიდ მოისმინეს, თუ რა წუნსა სდებლნენ მეფის მოადგილის მიერ შემუშავებულ კანონპროექტს. დეპუტატებმა ელჩებს სთხოვეს — ნალაპარაკევი დასწერეთ და დაწერილი წარმოუდგინეთ კომისიას. ვადად დაინიშნა ერთი კვირა.

დაპირებულ ვადაზე მოხსენება მზად იყო, მაგრამ სამწუხაროდ დეპუტატი გელოვანი ფრიად საჭირო საქმის გამო, დროებით პეტერბურგიდან სხვაგან წავიდა და შეპირებულ ვადაზე ვეღიარ დაბრუნდა. ჩამოსულებმა აღარ იცოდნენ, ვისთვის მიეცათ დაწერილი მოხსენება, ან ეინ მოასენებდა საადგილ-მამულო კომისიის მათს აზრსა და განმარტებას. ამასობაში სენატორი ნიკოლაი აჩქარებდა კომისიის, ჩქარა შეუდექით კანონპროექტის განხილვასთ. რადგან მთავრობას დიდი ძალა აქვს დღევანდელ სათათბიროში და მთავრობის თხოვნას ძირს ვერ დაუშევდენ, დაინიშნა კრება საადგილ-მამულო კომისიისა იმ დღეს, როდესაც არც ერთი ქართველი დეპუტატი პეტერბურგში არ იყო. პირველ სხდომაზე მომხსენებელმა ხარლამოვმა სრულიად თბიერტიურად განმარტა, თუ რას წარმოადგენდა კანონპროექტი. რადგან კანონპროექტს მოწინა-აღმდევე არა ჰყავდა, ხოლო დამცველი კი ბლომად

იყო — სენატორი ნიკოლაი, ნ. ჯუნკურის და სტრელბიცკი, კომისიაშ მოიწონა დედა-აზრის წროებისა — უმამულო ხიზანს იძულებით მიეცეს ის მამული, რომელიც ხელში უჭირავს წინაშე მუხლობრივ განხილვას. სულ მცირე ხანს გადაამულებულებს 8 მუხლი, თითვის ნახევარი (სულ 20 მუხლია). მეცხრე მუხლის განხილვის დროს უბორდიკო, გამარჯვებული წინავლა შექერდა. კომისიამ დაინახა თურმე წინააღმდეგობა ამ მუხლისა უკვე მიღებულ და შეწყნარებულ მერვე მუხლთან. (მერვე მუხლი აკანონებს ერთმავ გამოსყიდვას ხოლო მე-9, ორპირს). ამ ტოქა — რყევით ისარგებლა ერევნის გუბერნიის დეპუტატმა მიხ. ივ. პაპაჯანოვმა და სთხოვა კომისიის შესწყვიტოს დროებით მუშაობა. მე მართალია, კავკასიის დეპუტატი ვარ. განაცხადა პაპაჯანოვმა მაგრამ გულწრფელად უნდა ვაღვიარო, რომ დღეს პირველიც მესმის — რა ხილია ხიზნობა. ამ კანონპროექტში ბევრი რაღაც გაუგებრობა იმალება, ვგრძნობ ამას და ვერ — კი მიეხვედრილვარ — სად არის ჭეშმარიტება. თავაზიანობა და საქმის ინტერესი მოითხოვს, რომ დაუცადოთ ქართველ დეპუტატებს. ისინი გვეტყვიან, როგორც ადგილობრივ ვითარებათა საუკეთესო მცოდნენი, თუ რაშია საქმეო.

რაღა თქმა უნდა, რომ ჩვენ საშუალება არა გვაქვს სიტყვა-სიტყვით მოვიყვანოთ დეპუტატ პაპაჯანოვის ნათქეამი. აქ აზრია მარტო ნახსენები და არა ის სიტყვანი, რომლითაც მან მიშმართა კომისიას. კომისიამ შეიწყნარა პაპაჯანოვის წინადადება და შესწყვიტა მუხლობრივ განხილვა. მაინც პეტერბურგს უცბად მოედო ხმა, რომ საადგილ — მამულო კომისიაშ პრინციპიალურად შეიწყნარა კანონპროექტი და უკვე მიიღო რვა მუხლიო.

სწორედ კრიტიკული ხანა იყო ეს მომენტი. შესაძლებელი ხდებოდა კანონპროექტის მიღება უკრიტიკოდ და მოუსმენებულად იმ მხარისა, რომელიც დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ კანონპროექტი სიმართლესაა მოკლებული, რომივი ყალბ ცნობებზე აშენებული, და რომ კანონი იგი საქართველოს შშრომელ და მოკირნახულე მკვიდრს მწარე ბედს უმზადებსო. დავინებოთ თავი მემამულეთა ინტერესებს, განა შესწყნარებელია ასე დარღიმანდულად და „უპრაგონოდ“ ეროვნულ ტერრიტორიის დანივება, გაფლანგვა! განა ესეთი საქციელი დიდი ცოდვა და დანაშაული არ არის ქვეყნისა და ერთს წინაშე! განა არ გვეყო, რაც დავკარგეთ, ნუ თუ რაც დაგვრჩა, იმას მაინც არ უნდა გაუფრთხილდეთ! ამ ეამაღ ქარ-

თლის გლეხ-კაცობა, უმამულო, ან შეირე მამულიანი, დაინძრა და წელებზე ფეხს იდგამს, რომ მამული შეიძინოს სყიდვით. უკეთუ კარგა მოზრდილი ნაწილი ტერრიტორიისა იძულებით სხვისა ხელში გადავა, როგორდა მთახერხებს მერჩე მის შეძენას, ერთი სამაღაც მეტი ფული რომ გაიღოს? თავადაზნაურობის მამული რუსეთშიც, ჩვენშიც სანთელსავით დნება და ილევა. აქ სატიროალი არაფერია, თუ იგი მამული მკვიდრს ჩაუვარდება ხელში, ხოლო როდესაც გასასყიდად განწირულს მამულს შორიდან მოსული წაიღებს, მაშინ დადგება ქრისტეს ტირილი. ბ-ნი ნარიძე ჯერ ეხლავდ კათაქმეველსავით გამჭვივის უკხო ტომნი სჭარბობენ ქართველობას ქართლ-კახეთში; გაშინ რაღას ინებებს ეს პუბლიცისტი, როდესაც ქართლ-კახეთის მიწად-მფლობელობას ჩამოეჭრება ოცდა სამი ათასი კი არა, როგორც კავკასიის მთავრობა ამბობს, არამედ შეიძლება 100. 000 და მეტიც დესეტინა სახნავ-საოედება მიწა, სათიბები და საძოვარი, ესე იგი კულტურული ნაწილი ტერრიტორიისა. გაქირდვით და გაკილვით, როგორც ზოგიერთი პუბლიცისტი ჰკადრულობს, დიდი ეროვნული საქმე შეიძლება წახდეს სამუდამოდ. საჭიროა ღრმად ჩაუფიქრდეთ საქმეს და წყალ-წყალობა უკუ-ვაგდოთ. ჩვენ პირადად დარწმუნებული ვართ, რომ თუ ეს საბედისწერო კანონპროექტი დამტკიცდა იმ სახით, რა სახითაც იგი შეტანილია სათათბიროში, ქართლს სამუდამოდ წელი მოსწყდება. ვინც იმ რწმენას არ იზიარებს, იგი მოვალეა დაარღვიოს ესეთი ჩრდენა მტკიცე საბუთებით და თუ ვერ შესძლებს ამას, ვალდებულია გვერდში ამოვეიდგეს, მხარ და მხარ იაროს ჩვენთან.

წერილი მესამე.

პეტერბურგს დაბრუნებულმა დეპუტატმა გელოვანმა სრული თანხმობა გამოუცხადა—კანონპროექტის მოწინააღმდეგეთა აზრს და კრიტიკულ შენიშვნებს სავსებით წარუდგენ კომისიას, სოჭვა. ეწყინა ისიც, რომ პირველი კრება კომისიის იმის დაუსწრებლად მოხდა. საადგილ-მამულო კომისიის თავმჯდომარეს ს. ი. შიდლოვსკის ცალკე ტფილისიდან ჩამოსულებმა სოხოვეს რომ რაიმე ფორმალური დაბრკოლება არ აღმოვჩინა დეპუტატისათვის. ბ-ნმა შიდლოვსკიმ მტკიცედ სოჭვა—დეპუტატ გელოვანს სრული უფლება აქვს წარუდგინოს კომისიის ყველა ის მასალა, რასაც თვითონ დაინახავს საჭიროდ, ხელის შემშლელი არავინ ეყოლებათ.

საადგილ-მამულო კომისიის მეორე კრებაზე ვ-გელოვანმა წამოაყენა უმთავრესნი ტეზისნი პროექტის მოწინააღმდეგებისა. (ეს მოხსენება იმავედება და ამ დღეებში ქვეყანას იხილავს. მსურველს შეუძლიან დაწვრილებით იმ წიგნაკიდან უფიგურულო რა წუნსა სდებენ მოწინააღმდეგენი ჭიქიშის მშრალობის კანონპროექტს).

ამ მოხსენებაში მოწინააღმდეგენი ამტკიცებენ:

- 1) არსებული სახიზნო კანონი არის კანონი სალიკვიდაციო, მამული ეკუთვნის მემამულეს, ხოლო შენობანი, მოწყობილობა და ნაამაგდარი (ვენახი, ბაღი) ხიზანს. მოსპობა ურთიერთობისა უნდა მოხდეს ამ კანონის ფარგალში. ნებაყოფლობით საქმის გათავებას უპირატესობა ეძლევა. ამისათვის საჭიროა განსაზღვრული ვადა, რომლის შემდეგ თავისთვად ისპობა ურთიერთობა და ხიზანი ჰკარგავს უფლებას თავის საკუთრებაზე. როდესაც ხიზანი დაიხსნის მამულს, ან შეაყიდვინებს შენობას მემამულეს და აიყრება, მაშინ მთავრობა მოვალეა სესხით მიეშველოს ორივე მხარეს და შემდეგ შელავათიანი პირობებით გადაახდევინოს ვალი.

შესაძლებელია, ლიკვიდაციის დროს ვიხელ-მძღვანელოთ აგრედვე შარშან დამტკიცებულ კანონით—პრავი ვასტროიკი. ეს კანონი ფრიად საყურადღებოა, იგი ნათელს ჰქონს იმგვარ ურთიერთობას, როგორიც ჰსუფევს ხიზანსა და მემამულეს შორის 2). ხიზანს არავითარი უფლება არა აქვს იმ მამულზე, რომელიც უკირავს. შეუძლებელია, დაუპირდაპიროთ ხიზანთა მიწადმფლობელობა ჩინშევიკებისას, ან დროებით ვალდებულ გლეხისას. ვერც ჩინშევიკს და ვერც დროებით ვალდებულს ვერ აჰყრის მამულის-პატრონი, ვიდრე იგინი იხდიან ჩინშეს, ან ღალა-კულუს. მაშასადამე ჩინშევიკი ჩვეულების ძალით, ხოლო დროებით-ვალდებული—კანონის ძალით, თანამოზიარე მამულის პატრონისა მიწის მფლობელობაში. სახელმწიფოს უფლება აქვს ძალით ჩამოართვას მემამულეს მამული და მის თანამოზიარეს დაუმკვიდროს საკუთრებად ფასის გადადით. აქ პროტესტი უადგილოა და უსაფუძვლო. შეიძლება ხოლოდ ვაჭრობა იმაზე—თუ რა ფასი მიეცეს მამულის პატრონს ჩამორთმეულ მამულზე, სწორედ ისე, როგორც ვაჭრობენ მთავრობა და კერძო კაცნი, როდესაც რკინის გზისთვის ძალით ართმევენ მამულს მესაკუთრებს. სულ სხვაა ხიზნობის ბუნება. როცა გინდა, მაშინ აჰყრი ხიზანს შენობის საფასურის მიცემით. მაშასადამე იგი არაა თანამოზიარე მემამულისა; ამის გამო იძულებით მა-

ულის ჩამორთმევა სრულიად უადგილოა. ხიზნებიმ ჰყავთ სახასო, საეკლესიო და დროებით-ვალდებულ გლეხებს. განა სრული აბსურდი არ იქნება— მიადგე ასეთს შემამულეს და ძალა დაატანო: გინდა თუ არა დაუმტკიცე საკუთრებად ხიზანს სახიზნო მამულიო? მერე და ვისი მამული დაუმტკიცოს?

3). რაკი ასეთია ვითარება საქმისა, სახელმწიფოს უფლება არა აქვს სხვისა მამულით მოაწყოს ხიზანთა მიწისმფლობელობა.— ხიზნები ჰლელავენო. ეს საბუთი არ არის. განა დროებით-ვალდებული არა ჰლელავენ. ზოგს მათგანს დღეს ჩიჩქნა მიწა აღარ აქვს სანადელო, მაგრამ მათს მიწის მფლობელობის გაფართოვებაზე არავინა ჰლიქრობს. სახელმწიფო ვალდებულია იზრუნოს უმამულო ხალხისათვის, სულ ერთია ხიზანია იგი, დროებით-ვალდებული, თუ სახასო. ხიზანი რა წითელი კოჭია, რომ უპირატესობის აძლევენ. სწორედ ასეც იქცევა მთავრობა შიდა რუსეთში და მილიონებს ჰხარჯავს უმამულო ხალხის მტკიცედ მოსაწყობად. ალაბი და სახომი ერთი უნდა იყვეს როგორც შიდა გუბერნიებისთვის, ისე განაპირა ქვეყნისთვის. როგორ შეიძლება, სახელმწიფომ თეოსი მოვალეობა კისერზე მოხვიოს კერძო მოქალაქეს, ან წოდებას, მერმე ისეთს წოდებას, როგორიცაა თავად-აზნაურობა საქართველოში, წყალ-წალებული, გამოფიტული და განიავებული. თავად-აზნაურული მეურნეობა დაფუშულ — დანგრეულია და ოხრებულს რაღა აოხრება უნდა. არც ის უნდა დავივიწყოთ, თოხი მეხუთედი ჩვენის მიწადმფლობელობისა კულტურისთვის გამოუსადევარია.

4.) როგორია შედგენილობა დღევანდელის ხიზნობისა? მოწინააღმდეგენი მტკიცედ და ბეჯითად ამტკიცებენ, რომ დღევანდელი ხიზანი: ან დროებით-ვალდებულია, ბ) ან სახელმწიფო გლეხი, გ) ან ესრედ წოდებული მაჩაბლიანთ ისები. პირველთა მიწადმფლობელობა მოწყობილია 1864 წლის კანონით; სახელმწიფო გლეხისა მოწყო (ან მოწყობენ) 1 მაისის 1900 წ. და 21 აპრ. 1903 წ. კანონის ძალით, ხოლო მაჩაბლიანთ ისების ბედი მოწყო 1852 წლ. კანონმა. მარტო ამ შვილის ხეობის ისებს ხელში უჭირავთ სულ კოტა 70.000 დესეტინა. სენატმა განმარტა, რომ ერთხელ მოწყობილ გლეხებაც უფლება აღიარა აქვს მოითხოვოს მეორედ მოწყონ მისი მიწადმფლობელობა. რანაირად შეიძლება თვალი დახუჭოს აღამიანმა და არ დაინახოს ის, რაც დღესავით ნათელია. მაგალითად ს. სათიხარში (ფრინის ხეობა) ვაჟ კომლია დროების ჩამორთმევა სრულიად უადგილოა. ხიზნებიმ ჰყავთ სახასო, საეკლესიო და დროებით-ვალდებულ გლეხებს. განა სრული აბსურდი არ იქნება— მიადგე ასეთს შემამულეს და ძალა დაატანო: გინდა თუ არა დაუმტკიცე საკუთრებად ხიზანს სახიზნო მამულიო? მერე და ვისი მამული დაუმტკიცოს?

ბით-ვალდებული გლეხი თ. მ. რ. ერისთავისა. ესენი 20 დეკ. 1912 წ. კანონის ძალით მიწადმენ საკუთრებად სახნავ-სათვის, გრამოცემში აღნუსხულს, აგრედავე შეინარჩუნებენ საძოვრისა-დაუწყვეტის სერვიტებს. იგივე ვაჟ კომლი უცვნიშ ზოგიერთ აზნაურ გედევანიშვილს. მაშასადამე განხრისულ კანონის ძალით ხელმეორედ მოაწყობენ მათს მიწადმფლობელობას და მიანიჭებენ სერვიტებს: საძოვრისას, ტყისას და წყლისას. თუ საქმე „კამფეტივით“ დარიგებაზე მიღვა, დავარიგოთ მამული უკელამ, რაღაზე ვიწუხებთ თავსა. თორემ მარტო სათიხარელების ამაღლება ვერაფერი ზრუნვაა ქვეყნისათვის.

5). მოწინააღმდეგენი ამტკიცებენ, რომ სათათბიროში შეტანილი კანონპროექტი სრულიად შეუმუშავებელია. არ იცის მთავრობამ რამდენი კომლია ხიზანი, რა ზომის მიწა უჭირავს მემამულისა, რამდენი საკუთარი მამული აქვს; რა დარჩება მემამულეს, იძულებით რომ ჩამოართვან ნაწილი ხიზნების დასაბურებლიდ და სხვა. შეუძლებელია ვისიმე მიწადმფლობელობის მოწყობაზე ჰლიქრობდე და ზემოდ ჩამოთვლილი ცნობანი არა გქონდეს. ეს იმასა ჰგავს, რომ თვალებზე ფისი წაისვა და მოგზაურობას შეუდგე. უეჭველია, ასეთი მგზავრი კლდეზე გადიჩებება; ასეც მოხვება. მოწინააღმდეგენი ამბობენ აი რას: სამაჩაბლოდან გამოსული მთიული, უკვე მოწყობილი 1852 წლის „უქაშით“, ჩაეხიზნა სადმე საციკინოში, შემდეგ გადავიდა კახეთში და შეიძინა საკუთრიდ მამული. სამს ალივის შევიდრად ფეხს იკიდებს ასეთი გლეხ-კაცი. როცა ასეთი მაგალითი მრავალთაგან მრავალია, ლაპარაკი იმაზე, რომ მკეიდრად მოვაწყოთ ასეთი ჯურის კაცი, სწორედ რომ უხერხულია. ან კიდევ: ორი ძმა მემამულე გაიყარა, ერთს ერგო ხიზნებით დატვირთული მამული, მეორეს თავისუფალი. თუ კანონპროექტი დაკანონდა, პირველი სულით ბორცამდე დაიღუპება, ხოლო მეორე გაბედნიერდება. რის-თვის უნდა მოხდეს ასეთი უსამართლობა? რომელი უმაღლესი ინტერესი თხოულობს ამ სადალაქო თვერაციის?

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობამ მრავალჯერ სთხოვა მთავრობას — კომლეურად შეისწავლე ხიზნების მდგომარეობაო, გზაც უჩვენა ასეთის შესწავლია-გამომიებისა, მაგრამ მთავრობა ჯიუტობს — ხელთა მაქვს ძეირფასი მასალათ და გამოკვლევა საკირო არ არისო. თურმე ეს „ძეირფასი მასალა“ შეუკრეფი სტატსკი სოვეტნიკს მ. მ. ტებენკოვს. ქვეყანაში იცის, რომ ბ-ნი ტებენკოვი მხოლოდ სად-

გურ გომში ბრძანდებოდა და თარჯიმანის პირით ებაასა ხალხს. ასეთის წესით ცნობების შეკრება შეუძლებელია, მაგრამ რას იხამ, ჩვენი კავალიც არ წერიალებს, მათი კი ბამბაც ხმაურობს. მერე თუ შეიკრიბა ეს ძვირფასი ცნობანი, სად ალაგია, ვინა ნახა და ვინ გამოიყენა? თვალით არავის უნახავს ეს მითიური მასალა.

6). თ. გალიცინშა ბრძანება გასკა—ხიზანთა პროტოკოლებში არ უჩვენოთ ზომა მიწისა, რომელიც ხიზანს უჭირავს. ჯერ ერთი—ეს ბრძანება არღვევს არსებულ კანონს; კანონის დამრღვევი კი ლირსია სასჯელისა, ხოლო მეორე ისა—გვვონილა სადმე, რომ მიწად-მფლობელობაზე ზრუნავდე, ადგენდე კანონს და არკი იცოდე—ვის რამდენი დღიური უჭირავს? ამგვარი აბსურდი მარტო ჩვენში თუ შეიძლება, თორემ არა გვვონია სხვაგან სადმე შეიძლებოდეს სადმე.

ამბობენ, ხიზნებს მიეცემათ 23.000 დესეტინა მიწაო. საიდან გაჩნდა ეს ციფირი? ვინ გაზომა სახიზნო მამული? აი ოთხ კომლს ტამელს 600 დესეტინა უჭირავს. თითოს შეხვდება 150 დესეტინა სახნავი, სათესი, ტყე, საძოვარი და სათიბი. თუ ჩვენი ნათქვამი ტყუილია, რატომ არ გვამტყუნებო? მაგრამ საიდან გაგვამტყუნებო, როდესაც ეს ცნობა ამოღებულია ოფიციალურ რაპორტიდან?

ხარჯის ამკრები ინსპექტორი ჰმოწმობენ, რომ ხიზნებს უჭირავთ 23.000 დესეტინაო. როგორ, ბ. ინსპექტორებმა ფეხით შემოიარეს სახიზნო სოფლები და ისე დაზომეს? ან პლანებზეა გამოყვანილი ხიზანთა მამულის რაოდენობა? არც ერთი, არც მეორე. თეითონ ხიზნებმა უთხრეს ინსპექტორებს— ამდენი მამული გვიჭირავსო და იმათაც იღნუსხეს თავიანთ დავთრებში. ხიზნები გიუები ხომ არ არიან, სინამდვილით ჩააწერინონ მამულის რაოდენობა და ერთი ათად მეტი იხადონ სახელმწიფო საადგილ-მამულო და საერობო გადასახადი. ამის გამო მოწინააღმდეგენი კანონ-პროექტისა ამტკიცებენ, რომ ოცდა სამი ათასის მავიერ შეიძლება ასი ათასი დესეტინაც მიეზომოთ ხიზნებს.

7) ყველგან, როცა მიწის—მოწყობაზე მიმდგარა საჭმე, უეპველად ვარაუდში მიუღიათ რაიმე ნორმა, ხოლო ხიზნებს უნორმოდ იძლევენ მამულს. ღრმებით-ვალდებულს ეძლეოდა კომლზე მაქსიმუმ 5 დესეტინა სარწყავი, ან 10 დესეტინა ურწყავი, იმერეთში გიცილებით იმაზე ნაკლები, ესეც არ იქმარა კანონპროექტიმა და ხიზანს ანიჭებს სერვიტურს ტყისას, წყლისას და საძოვრისას. ხიზნებს დაუმტკი-

ცებენ იმ ნაკრებს, რაც ხელში უჭირავს. მამულის ნაკრები კი გაფანტულია, განსაკუთრებულ მთა-გორიან აღვილებში. ასე რომ მთელ-მოწყობა მამული მათს სარგებლობაში დარჩება. მამულის პატრონი ნომინალურ პატრონად იქნება უსასეჭირებულებელში, ან აგარაკში და უნდა იხადოს გადასახადი. შაურის სარგებლობას ვერ იხილავს პატრონი სერვიტურებით დატვირთულ მამულში. ვინ გაპბედავს და შევა ასეთს სოფელში იჯარით ასალებად მამულისა? მოიგონეთ კოშკელების და იფნარელების საქციელი. სენატმა მართალია, უარი უთხრა—ხიზნები არა ხართო, მაგრამ აბა გაპბედეთ და აბძანდით იფნარმი შენის საკუთრების სასარგებლოდ. თევდორე ლლონტსაც კი ვერ ვურჩევ იქ ასელას.

8) მეტის მოადგილე კავკასიაში ზოგ ხიზანზე ბრძანებს, რომ იგი ფიკტიური ხიზანია, ზოგი მონათლა როგორც „პოდლოენი“ და ერთს ღონიერს ჯგუფს დაარქვა „ტერრორისტი“. ამ ჯგუფმა ძალით მიითვისა საეჭვო უფლებანი (იბლადატები მწმის უფლებანი) და ამ საეჭვო უფლებას იარაღით იცავენ. სახიზნო კანონ-პროექტის მოწინააღმდეგენი ამტკიცებენ, რომ ამ კატეგორიის ხიზანს ვერც ერთი მთავრობა სხვისა მამულს საკუთრებად ვერ მისცემს. თუ შეუძლებელი მოხდება, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ტერრორისტობა სარფა ხელობა ყოფილა, რადგან სხვის მამულს საკუთრებად მოვნიქებენ. მაშინ გაბეჭნიერებულ ხიზნებს უეჭველია წაპბაძავენ უმამულო სახასო გლეხნი და მცირე მამულიანი ღრმებით-ვალდებულნი (დღეს უკვე მესაკუთრენი) და ტერრორის გზას დაადგებიან პრემიის მისაღებად. უნდა იფიქროს ადამიანზა, რომ ვერც სახელმწიფო სათათბირო და ვერც საბჭო ამ გზას ვერ დაადგება და თუ დაადგება, მაშინ რიღა გვეთქმის, უნდა ვსდუმდეთ.

9) რამ შეუწყო ხელი ხიზანთა გარემოების? მოწინააღმდეგენი ამტკიცებენ რომ ძველი ხიზნობა იყო უწყინარი. ისტორიული ხიზანი გაპქრი, აღარ არსებობს, ზოგი ჭილავიდ წავიდ-წამოვიდა, ზოგი მესაკუთრედ შეიქმნა. დღეს სრულებით აღარ გვაულება ისტორიული ხიზანი. ახალი ხიზანი, ძალზე რომ იყბინება, გაჩნდა 1861 წლიდან. ამ ღრმის დაიწყო ჩვენში გამიჯვნა. თეისება ჩვენებურ გამიჯვნისა ისაა, რომ ყოველ ვიგინდარას, ყოველს გამვლელ-გამომვლელს შეუძლიან განაცხადოს თავისი უფლებანი გამიჯვნის დროს, მიუხედივად იმისა, ეკუთვნის რამე თუ არა გასამიჯნავ აგარაკში და ასეთს კაცს მიწის-მზომელი სწერს როგორც მონა-

წილებს აგარაკისას. გამიჯვნის დროს ატეხილი დავა გრძელდება ოცს. და ოცდა ათს და ზოგჯერ ორ-მოცს წელს. ვიდრე დავა არ დასრულდება, ნამუსი-ან პატრონს არ გამოუყოფენ თავისს ნაწილს. თავ-ზე ხელადებული მონაწილე-კი, რომელსაც შეიძ-ლება სულ ხუთი დღიური არ ერგება, სარგებლობს ამ გარემოებით და ასახლებს ვარეშე კაცს ხიზნად საერთო მამულში. ის ესეთი როთული რამ დაიწყო ჩვენს კურთხეულ საქართველოში, დაიძრი მთა და ძირს იხუვდა. რატომაც არა. ფლავს არიგებენ და ვინ დაიწუნებს მსუქან საჭელს. ხიზანთა მოტრფია-ლე „სახალხო გაზეთმა“ საოცარი წერილი დაბეჭდა ღერგატუსისა. საფალავანდიშვილოში, სადაც 30,000 დესეტინა ითვლება, მთიდან ჩამოსულ ხიზნებს 10,000 დესეტინა დაუჭერიათ, ხოლო მკვიდრს დროებით ვალდებულს ჰქონია რაღაც 600—700 დესეტინა. დასელებთან ბრძოლაში გართულს გაზე-თის სულის ჩამდგენლს აღმართ არ წაუკითხნია იგი წერილი. თორემ აბა რა მოსათავსებელი იყო იგი წერილი გაზეთში.

10) მიუხედავად ყველა ნათქვამისა, თუ მაინც იძულებით შეყიდვა დაკანონდება, თანახმად ანდა-ზისა — ძალა აღმართსა მხნავსო, აუცილებლივ საჭი-როა სერვიტუტების მოსპობა. ახლად დამტკიცებულ მიწის-მოწყობის კანონთა ძალით რუსეთში სპობენ ყველა იმ დაბრკოლებას, რაც ხელს უშლის რიგი-ან მიწად-მფლობელობას. ასეთია სერვიტუტები, არევ-დარევა მიწის ნაჭრებისა და სხვა. თუ ეს არ იქნა განხორციელებული, ყოველი მაღლი დაგვარ-გება მომავალს კანონს და რამდენიმე წლის შემდეგ ისევ თავში საცემი გავვიხდება სიქმე.

მოკლედ ესაა შინაარსი იმ მოხსენებისა, რო-მელიც გადასცეს დეპუტატ გელოვანს სათათბიროს საადგილ-მამულო კომისიაში წარსადგენიდ. გელო-ვანმა პირნათლად ასრულა თხოვნა. კომისია სიხ-ტად დარჩა და მთავრობის წარმომადგენლებს მოს-თხოვა პასუხი. რადგან პასუხი ვერ მიიღო კომი-სიამ, დაადგინა: გადაეცეს პოდკომისიას კანო-პროექტი ვრცელის მოხსენების წირმოსადგენიდ პირველ თებერვლამდე 1914 წლისა, ხოლო ეთხო-ვოს მთავრობას შეცკრიფოს საჭირო ცნობანით. —

ამ გვარად კავკასიის მთავრობის კანონ-პრო-ექტი უდღეური გამოდგა მიუხედავად იმისა, რომ კავკასიის იურიდიულმა საზოგადოებამ მოიწონა იგი.

პოდკომისია მაღვე შეიკრიბა, აღარ მოუცადა დამტებითს ცნობებს. პოდკომისიის კრებაზე სენა-

ტორმა ნიკოლასკიმ განაცხადა, რომ იმ ცნობებს, რომელსაც თხოვულობს საადგილ-მამულო /კომისია, ხუთ წელიწადს ვერ შეცკრიბა მეფის მოადგილის გამგეობათ. კანონის განხილვა და შეცკრიბა და-კი ფრიად საჭირო და საჩქაროო, რადგან ხიზ-ნები ჰდელავენ და ანარქიას ბოლო უნდა მოელო-სო. სენატორ ნიკოლასკიმ ასეთში განცხადებამ ძლი-ერ იმოქმედა პოდკომისიაზე და გადასწყვიტა დაკ-მაყოფილდეს იმ ცნობებით, რომელიც წარუდგინა სათათბიროს მეფის მოადგილის გამგეობამ. კანონ-პროექტი განიხილეს მუხლობრივ და თითქმის სავ-სებით მიიღეს იგი. შეიტანეს მხოლოდ ის ცვლი-ლება, რომ ყველა ხიზნისათვის სავალდებულოა ერთგვარი ფასი მიწისა, იმისთვისაც ვინც ლალის იხდის მოსავლით და იმისთვისაც ვინც ფულად იყო გაბეგრილი.

პოდკომისიის დასკვნა მოხსენდება საადგილ-მამულო კომისიის 20 იანვრიდან 1914 წ.

რადგან ოქტომბრისტების ფრაქცია დაირღვა და დაიფუშა, ხოლო ს. ი. შიდლოვსკი ამ დასიღან იყო არჩეული, შეიძლება კომისიისთვის სხვა თავ-მჯდომარე აირჩიონ.

პეტერბურგი.
8 დეკ. 1913 წ.

ან-ფარი.

რისთვის მიულოცო?

რისთვის მიულოცო საქართველოს ახალი წელი?

მე კეთილს არაფერს მოველი 1914 წლისაგან როგორც არ მოველოდი წარსულ 1913-საგან როგორც არ მოველოდი 1901-საგან როგორც არ მოველოდი 1801-საგან და ამიტომ რისთვის უნდა მიულოცო საქართველოს ახალი წელი?

იქნებ მომავალი წელიწადი ბედნიერ იმედს გვიღვიძებდეს და განახლების ნუგეშს გვაძლევდეს? ტყუილი ოცნებაა!

ქართულ ცხოვრებაში, არსებითად და ჩვენდა სანუგეშოდ დღემდის რა გამოიცვალა?

თუ მე-XIX საუკუნის მოწინავე ქართველობა რუსს მაღალ და დაბალ მოხელეთა კუდში მიცუნ-ცელებლა და მოწყილებას იხვეწებოდა.

დღეს ჩვენი „მაღალი“ ინტელიგენტთა წრენი რუსთა ინტელიგენციის იმავე კუდზე მიკურობიან

და საითაც იგი კუდს გადიქნებს იქ ჩვენი „მაღალი“ წრეც გადაყირავდება.

თუ წირსულში ჩვენი წინაპრები მოხელეობასა და ეპოლეტებს სამშობლოს ინაცვალებდნენ.

დღეს—ქართველი მართველი ინტელიგენცია—სოციალისტურ ეპოლეტებს ანაცვალებს.

თუ პირველთ სამხედრო და სამოხელეო უწყებანი ჰყიდულობდნენ, მეორეთ—„რუსთა მუშაოთ პარტიები“, „ტრუდოვიკება“ და სხვა ამგვარი საქართველოს „მოყვარენი“.

და თუ წინად სამშობლო ნაწილ-ნაწილად იყიდებოდა, დღეს—„პარტიობით“ და მთლად იყიდება.

სამშობლოთი ვაჭრობდნენ წინად.

სამშობლოთი ვაჭრობენ დღესაც.

მაშ რაღა გამოცვლილა?

არაფერი...

გაშ რა კეთილს უნდა მოველოდე 1914 წლისათვის?

ორა! საქართველოს ჯერ ახალი წელი არ დასდგომია!

საქართველოს ახალი წელიწადი იქიდან დაიწყება, როდესაც თავის სხეულს ერთს საშინელ პარაზიტს მოშორებს:

ქართულ მოწინავე წრეების ფუქსავატ კარიერიზეს...

რომლის ძვირ „სახოტებს“ ქართველი ერთავის გამხდარ კისრიდან იხდის.

აი, ეს წელიწადი მართლაც ახალი და განახლების წელიწადი იქნება!

და მაშინ მეც გულწრფელ სიხარულით მულოცვა და დაულოცვა ჩემს სამშობლოს ახალს და ბერნიერ მომავალსა.

ეკალი.

მტარებალის ციხე

შეა დაშეა. უქართ დამე. ჭავჭარდ ცაზედა მთვარე კამებებს და თოვლით გადაშენტილ სპეცია მიდამოს ადგენერაციათ სავსე შეხედულობას აძლევს.

დიდებულის თავად ზაალის დიდი სასახლე ამ მთვარის შექმნედ უფრთ დიდად სხანს და რაღაც ზდა-პრეზ მდევრის უშედებელ სადგურსა ჰქონს.

სასახლის და იმის გვერდით მაღდა ამართულ კოშკის ზოდი დიდ მანძილზე ჩრდილის შდის და საერთო გაძრწეინებულ სურათზედ მაგი გემაშიგით გადაშერის.

გარშემო სახული სიჩუმე მეფის, ასასიდგან ხმა, არც მორიათა, მხოლოდ აქა-იქ სარემელებიდნან სინათლე ბჭყტავს და ეს სინათლე კრთად ურთის შეჩემებებია იმისი, რომ სახლი მიტოგებული არ არის. დას, სასახლე ხალხით სავსეა, მხოლოდ უკანა მუდანი ჩემათ საქმიან, რადგან ბატონი თვით მდგრადია და გველას მასთან სიორთხილე მართებს.

ქვემო სართულში რფახის ბურჯი—დასახლისი იმსახური, სამოათ სამზადისშია და რამდენიმე მოსამსახურე გაფაციცებით ასრულებს იმის ბრძანება—განკარგულებას. აუარება ხორაგებული დიდი ხონხებით აჭვე აწევია და შეზარებული უხუცესი ნინიგაც დიდ უოქმანშია: არ იცის, სადგრან იწერს გამასშინდებია. დადი ბატონის ნახადირევის შეფეხ-ირმას ხორცი, ისახარის ხელზე ნასუქის ინდაურ-ქათმით, თუ ნააღრევის ბატქან-ნაბიჭყარით? ან თუ ეაბლუაფლაკს, ნუშ-ქაშიმით შეზავებულს, ძისცეს მან უპირატესობა და ამის მესახებ იასახანს ჩეკვას კეთხებს.

— გველაფერი, გველაფერის უნდა გაუძლევე, და შერევებად უნდა შეზადებე, ჩემი ნინივა, და იქნება იქნება დიდი, მაძარი! ჩემი აღზრდილი შზეთ-უნახავი, ჩემი თამარი, როგორც ამბობენ, ხელ უნდა გახდეს სრულოდ მეფის ძის ნათმინისა და ხომ მიხვდები, რომ ხელინ-დელი ჩემი ნადიმი სულ სხვა არის—ის ნადიმია ნადიმთ ნადიმი! აქ იქნებან დიდი მთავარი, კასკო შონი, თავადთ-თავადნი და აზნაური წარჩინებულია.

— წითელი ღვიანო ბულახაურის და თუთა დგინდეთ შექრანისა რემბებითა სდგანი? — მერიქიავევი, ხემ შზად გაძეს ჭურჭელ-საღვინე, გვდები, აზარფებები, უნწი რჩებული და გამჭვირვალე, ბროლის ჭიდვები წითელ ღვიანოსთვის?

— სუვერენიტეტი დაწენდალია, დაზაგებულია, როგორც რიგია!

— ხააზო, პაკლე, შენ რადას ატევი?

— მეტ მზად გახდებარ: შოთი, ლავაში, ქალა, ხაზუქი, ხაჭაპურები გამომცხვარი მაქს და ამდენია დვითისა წეალობა, რომ სამას კაცს სამ დღეს გეოფას!

II

ზაალის სახლია, როგორც ზემთ გსოვით, გინერდის აკრავს კოშკი, ტურფად ნაკები, ჩუქურთმებითა აჭრებული. ეს კოშკი იყო მტერთ უძლეველი. შიშის ზარს ჭიენდა თავის გარშემო. საწყდი იყო ტევია-წამალის, თავიდ-ბოდომდე სავსე იარაღით, კოშკის სარემდიდგან ზარბაზნის ღულა დღესაც კი მოსხის.

დღეს კი, როდესაც ცოტადებად მტერთ მიუჭიდა

ჩა გოძვი ესე ქსანს გადაჭურებს და მის მშენებელ
ტკით შემჯედ ნაპირთ უმნერს, დამზად მოროვდ ერთ-
ერთ ოთახში ზეალის ქაფი თაშანი სცხოვერის და კო-
კის ირგვლივ გადაშედიდ სურაოს მუდამ უურებს.

ქალს დედა არ ჰქავს, ადრე დაიღვდა და მიმოდი
მხოლოდ გამზრდები უკლის. იისასარი დარბაიერი დე-
დაბაცია, ეთავჭანება თავისსა აღზრდიდს, დღე და დამ-
უკლის, თავს დასტრიალებს, თვეს არ აშორებს და ნი-
აკაქრის არ მიაკარებს.

მხოლოდ ღღეს მოხდა, რომ იისახარ ჰქვევით წაგი-
და დიდ საქმისათვის და დიდ საქმეში სულ დაკაიტება
მოვალეობა, თვეუ-ეურის გღება და თამარს მიეცა თა-
ვისუფლება და მარება სულის.

ქალმაც გამედა, კარი ბაჟდო თავისი სატრიუქის
და თავის შინუა ტკბილ დაფიქტებას. შივწერთ იყიან, რომ
ეს შემთხვევა იშვიათია და ხსნ მოქლეა და იშერება...

— սեղա ծո վազալ, իշմա պարագա

— ५६३८ —

— წავალ, დოთ არის. განთიადია. თოვლიც დიდი
სდევს, საფრთხე მომენტის... ისახარიც გაათავებდა
თავის საქმებს და მრველად მოგა...

— მაშ ერთხელ კიდევ გადამეტეოგ... ბიდევ მაკო-
ნი, წემო შაგარდეჩ, წემო კაჟარო, მშვენიერებავ ვაჟა-ც-
თა შორის!.. უკანასკნელად... უკანასკნელად გადამეტ-
ეოგ... გული მიკვეხის, რადასაც მიქადს, საშინელებს,
გამოურკვეველს...

— თქ, სასოებავ ჩემი სულისავ, თუ გინდ ათასჭერ
ჯავჭონები შენ დკოიურ ბაგძე! ჩემთ დამაზო, დედა-
კაცთ მეზევ, რასა გემინის? ცოცხლად თუ მკვდარი პა-
სოძ შენი ვარ... და კვლავ გაისძა ტროიადის ჰანგი,
ჰანგი უტბბესი, უძლიერესი ჸენგებთა შორის...

— ხველი ნადიმზე ხარ?

— დიახ, შენი კვირისმე! და ამ სიტუაციისთვის რაინდმა ჩვენმა კოშკის სარკმლიდგან გადაიხედა: თოვლით მოუკინდა მთა-ტუ-ველ-მინდორი, თვალ კადურველენელს, და მთელ გარემოს ღვთის გაჩენილსა შექმნ ვარსკვლავი დაჭკამებამებდა, ადამიანის ხსენება ნიშნად კი არსად სჩანდა. ხევის ძირშია მხოლოდ თეთრი ციხენი ტატით თოვს ბდებულიდა და ოავის მხედარს წასულას ურჩევდა. იგიც წაგიდა.

III

თაშარი დარჩა დაწემებული. იმისი სახე გაფიცვებული, ჩატვირებული ხელთუჭმებულ ნაკვთსა მარმალო-
დოსას ჰქავდა... ის წარიტაცეს მავნე ფიჭრების და
ნამნა რეპილნი სიუღარულისა უთლად კანუბნები.

ଯେବୁ କାହାର ପାଦରେ ତାହାର ପାଦରେ ଏହାର ପାଦରେ
ଅନ୍ତରେ କାହାର ପାଦରେ ତାହାର ପାଦରେ ଏହାର ପାଦରେ

დობაშ ზავდის ბინის, იგი აღზარდა და დამწერა, ცა-
ფის აზიეს გულის კაცით და სუპერჟირ/შეგვაშირა...

— ბატონი ზავალ ხელი სურათში მოჭრა გადა-
ნებ, სარძლოთა ის შენ გამზადები. იასახარმა სოქეა ნე-
ზედისე — მეფის ძეს თურმე შენ უჩახვისარ, მოსწოდე-
ბისარ და ტროთბის აღი მოჰკიდება...

— მეტ გრანტი იგი მახინჯი, მავი აღმური ადგია
ნი, როგორ შეგვიძლია და მრისხანებით თვალზე საჭირო
აქვთ...

— სფალ იგიც მოგა და შაბაჩე ირ, რასაკეთეულია,
შესა არისე... ჩემს შავარდენსა, ნამდვიდ შავარდენს,
მომაშორებენ... მომაშორებენ? რა კოქვი მე ესა?! ვის
შეუძლიან ეს მოიქმედოს, ვის შეუძლიან გული გამი-
ნოს... სულის სიღრმეში ცეცხლი ადჟაგრძნოს, დაძ-
წვას, დამდაკის?.. არა და არა! ჩემი შავარდენ შეივე-
მევე და მხოლოდ ის არს ჩემა ხატება და მის გარე-
შე არავინ მინდა... ხელს ვერ შემახები, იჭიოთ ღმერთი
წმიდა!

— თუ მამაწერი ძალას მოიხმარს, თუ ამჯობინებს
შეფის ქეს უგვანს ჩემს იაღონსა, მე თავს მოვიკლავ...
გადავარღები კომკიდან კლდეზე... ვიცი მაგარდენ თან
გადმომეტება და იქ, იმ სოფლაზე კეტებს ავიკებთ...

IV

არც ჭავლის სძინავი. ის ბოლოთას სტეპს თავის
თიასში, დად ფაქტში არის. — ხვალ გადასწევება თამა-
რის ბედი; სიძუობას მთხოვს მკოდის ქე პრძენი, მარ-
ჯგენა ხელი შეკვეთ-მეოვას, მთელის თხეთის ბატონ-
ნატრონია და მბრძანებელი. ისიც შეწვევა შობის ნადიმ-
ზედ.

უნდა უჩვენოთ ჩემი სიმღილრე, უმათა სიმრავლე, დაქრიდოთ ნატელი ჩემი გადა, ხენჭალი, მარჯვენის ძალა, არა-ბულები... მაგრავი რად მინდა უკეთა ესები? განა არ იცის რო შდიდარი კარ? ან ჩემი ქალი, ჩემი ასეული უმზითველთაცა კი არა კმარა დასაძლებლად სიძე ბატონის? ჰაი, რომ კმარა! ნერა თუ ვინ ჰყავს ბადლად ამ ქალენად ჩემსა თამარსა? — სათხო, ლამაზი, საროს ტანისა და ჭერით ბრძენი — სიამა ეკა თავის მამისა და დირსი სწორებელ ტახტაზე ჯდომისა!

— ნეტა რას იტევის, რომა გაიგებს? გა არ უარ-
ჰქოს უსახურობით. ?მასინჯი არის... წელში წახოლია...
მაგრამ რა უძავს ვაჭვაცს ამითი? მით უფრო რომა, ეს
შემთხვევა გმირობის ღროსა, მტერთან პრძოდაში—
არა მგონია, უარს არ იტევის, ის ამავია და მეოდის
რძლოვას შეითყოჩას... თავს მათვა ასწევი. კრძობის

გონიერს დაუმორჩილები... ჩემთვის ხომ რაღა, მკუთხის
მისხლობა დიდი რამ არის! მაშინ ჩემ ბედსა ძაღლი არ
დაჰუქვს. და ჩემ მტერი გუნდი შიწას გამეჭრის, სული
გაინაბაგს. გავშლი მე მაშინ არწივებრ ფრთხებსა, გაფა-
ნავარდებ და დაგიმოხებ მოსას აფარებულის...

— ეს რა ხმა ისმის?.. უცემ შესწევიტა ჭადაშა
ფიქრი თვისის აცნების და გადახედა დაბლა, მინ-
დერისკენ. იქ ხევის გადმა მიაჭებებდა თუთო ცხენზედ
მჯდამი ვანმე ჭაბუკი.

— ვინ არის ეს? საიო ერთეული შეაღამისას?

— აა, მავარდებია მაღალაშეიდო... მაღალაშეიდო,
ჩემი ნათლული! აქ რა უნდოდა?

, „ის თურმე პტირის შენ ქალს მშვიდერს და მუ-
ნი ქალიც ბანს სძლებეს თურმე“, დარევანმა სოქვა... აა

— არ დაუუჭერე ჭარი მეგონა! როგორ გაჰედაგი! როგორ
გაჰედაგის თავებედი გლახა, უჭიშოს შეიდო!..
თუ მართალია მგზავრი რამესი, მევაშინებ, გასერს მოყ-
უგრეს იმ კუდა-ბზიკას!.. მრემდს ვაფრქვევინებ მშვი-
ნიდერს ქალსაც... აა, დმერთო ჩემთ, რა რაგა გმოვთ-
თვე! გული მისვდება... ტვინი მერყევა... ვით გავათე-
თ ეს დამე გრძელი!.. როგორ შოვიქცეთ? როგორ
დაურწმუნდე? რა გზას დავადგე?

ოჟ, გიჩასიებთ, სისხლის თქვენსას დაულევ, მუხან-
თებთ!.. ვინ იცის იმ უგვარომ ჩემს ასეულს წმინდას
ხელიც შეახო? ხვალ რადა უთხრა ბატონიშვილისა?.. ვაი
სირცხვილთ, თავლათის დასხმავ და მერე ვისგან? —
შეიღად შეკვეთიდის, ჩემის ხელითა შიროცხებული და-
წირაკისგან ამას ვეღოდი?.. ოჟ, მოთმინებავ, ხუ მიმა-
ტოვებ, მაგრამ რამე საშეალება, რომ საშინელის ტურის
ძიებით იგი გაწამო... იქნება ვცდები?.. იქნება აქ სად-
მე, სამუახლეში გაგუდვის გინმე? - დამაზი გოგო ელა-
საბედი, ან ჭვრივი შინო, მთვარისა მგზავრია?..

V

გათენდა დიღა, დიღა ბრწყინვალე, ვით თვით დღე
იგი, „მობის“ მიზეზით გაბრწყინვებულია. მაღალა
მოის თავზედ ძევდ მონასტრიდგან ზარი მოისმა და
განივარება მოედ ამ მხარეზედ. თოვლ ტექქშ მიუეხედ
ხალხი შეინძრა და ჩვეულებრივ დიდი, პატარა, ბერი და
ნორჩი სადღესასწაულოდ გამოწუობილი, აღმართს მეუდ-
გა და ბერებთანა ტებილს ხმას სერთბას ხმა შეუძრავ
და მუნ გაისმა ქიმნი ცხოველი; „მობის“ შენმან ქრის-
ტი დმერთო“....

ზარდის სახლმაც გამოიდვიძა. დღეს მზის სხივებ-
ზედ ის სულ სხვა იყო. მრავალთ-მრავალი მსახურთა
ჭარი დაუკუსოვეს ებდა მისა გარშემო, ასევთავებდნენ ეზო-
უთრეს მისასედელ გზას, მეჯინიდენ ცხენების ჭაზმა-

ვდნენ არაბულებისა. ქვემოდან ზემოდებოდნენ სუფ-
რის სამშადისის: ურიცხეს ჭურჭელისა და სხერვაბეს.

ისესხარი დიხვად, შორს მჭირულებ წინამდებარობ
და და ერველის საგანს ბინას უჩენდა. დად დარბაზშია,
რომელის ჩადა ქნიდა მძიმე ჭერის მუშაობის ბოძი
ძლიერი იმაგრებია, სუფრა გამადეს თქროს ქსოვილის
და ჭამ ჭერებით გარაუიანის, ფრთის საღვინით ეკრა-
ლის კუღებით, აზარივაშებით, ნათალი ბროლის შემ-
შექებით იგა შემძეს. კურცხლის დახურვებით ხორავი
დასდებეს, საქსონის ჭურჭელით ქადა ჩაზუქი, ნამცხვარი
შერი, სურნელოვანი, მრავდად დაწეული, თაგუღელების სამა-
გიეროდ მწარე ფარხისა ნაჭერით სავსე სუფრის თავ-
ბოლოს ბროლის ხაფუბი ჩამომწკრივების. სუფრის გარშე-
მო ქანა, საღინა მძიმე — ძარფასი შემოუფინებელი და ზედ
დორები, მუთაქები თქროშეცით ამონაქარგი შემოუ-
გარეს.

შეა დღის ჭამის უვალავერი უკა მუად იყო. გაბ-
რწყინებული დადი დარბაზია სამეფო პალატის ემპზავის-
ბოდა და მსახურთ გუნდი გამოწიმელი და დარასტული
სტუმართ ეღორა.

წირვისა შემდეგ უკედაზე აღრე ზაად მთბრძინდა.
თვალი გადავჭრო მეფეებ სამზადის და იისხარს მადლო-
ბა უთხრი: „,ჩინებული ხარ დიასახლისი, ჩემთ ბებურო,
მაგრამ ერთი რამ გამოგეხარა და, თუ გამართლდა ჩემი
ეჭვები“!..

— მთბრძინდებიან, მთბრძინდებიან! ამ სიტუაციათ
შემთირიან პირის უარეშებ, პატარა ბიჭმა და იისხარ
თავზარდაცემულ ბატონის სიტუაცია, უკან ჩამოდგა. მე-
მუსივეთა დაჭკრეს ხალა და წინწილა...

უკედა დალაგდა თავ-თავის ადაგს. სუფრის თავს
დაჭდა ეპისკოპოსი, მის გვერდით ცალმხრივ წელი მე-
ფისა და მეფორეს მხრით სახლის პატრიარქი და მის მოუ-
წდა ქალი თამარი და დახარჩენი უკედა წელები ხარის-
ხის დაბგარ, როგორც წესია ჭრთველის სუფრის, ამთ-
ირხისეს ენა შეტეველი თამადა-ბრძენი და გამართა მეჭ-
დასი დიდი, სწორუბოვარი.

მაგრამ უკედას სჭრის ზალის ქალი, ის გარსკვდა-
ვა უხვ მასინძლების და უკედას თვალი იმისკენა რბის. ფრთის ქსოვილით შებურვილი აქეს თავ უბა-კასერი და
დიდი ჭიდა იაგუნდისა თეთრ მებდს უმშენებს. მწარე
საკერდის კაბა აცვია და მარგალიტით მძამედ ნაკერი
ეცთრი სარტყელი.

ის დიხვათა ზის თავნაღუნელი და მხოლოდ ქემ-
ქებ ათეალიერების წელებთა რაზმებს.

უცემ შენიშნა სუფრის ბრდოზე მან მავარდები,
რომელიც გრძალებით მას შესცემერდა და მისი ეშით
იინიდებოდა. რა რიგ მშენებდა, რა ემხით იურ იგი ად-

სავსე! მტერის და მოუქარეს გვიდას კრობულად წაბეჭ
მგზავნებები თვალი რჩებოდა. ცაცხელი კერძო ჩვენი
თამარი, წელში გასწორდა, უკან მოიღერა და თავის სა-
ტრიუმფის მან გაუდიმა, მერე ფრადა წითელი დგინდი
ხელში აღდა და მას ახიშა, რომ სეამს იმისს სად-
დეგრძელოდა.

შავრდებრა გაიმუონა ნიშანი ქალის და ამის მემ-
დებ სუჟექტური გაქრა მათვისა: სუჟრაც, წეველიც
და დიდი ღხისიც უფრისებდეს ჩაიქცა. ისინა მხოლოდ
ერთმანეთი სტრუტების და ამ ჭირების იურ იმათოის
მოელი სოფლით, სიცოცხლის მრწმია...

ზაალი კრისტები, თვალით ჭიედავდა უგელა ამაგბს...
დარწმუნდა ხათლად თავის პეტებში და დაზიმუშება
შესახარებული. ცეცხლები გახნდნენ იმის თვალებში. არე
მას ქსმოდა სტუმართა ღხისი, მთვალეობა მასშიძედისა
სულ დაავიწედა, ის შალად ათრთოლდა, კრიკა შემპრა,
სახეზედ რკინის გაღეპა ფერი. მაგრამ ვახ იყო ყურის
მგრებელი, ვაღა არჩევდა მავს აერთისაგან? ბეღაჩაურის
და შაქრიანის ღვინო გამევდა სტუმართა შორის და და-
უბნება თვალით მხედველობა.

— რა ამბავია ზაალის თავსა? ნერა რა სიტყვა, ან
რა ეწეონა?

გუნდები მდგრძი იისახარი მხოლოდ ხედავდა ის-
რონის ტანჯვალი და არ იცოდა რითი აეხსნა.

— ნერა აად მითხო მე ის სიტყვები, ან რა კა-
ვმირი აქვს მისია სევდას იმ სიტყვებთანა?

VI

დოდხნების გაგრძელდა ღხისი უზომთ, გამხიარედ-
ლენებ მდვდებინი და ბერნი, გარის პარები და აზნურნი.
„მრავალ ჭამიერ“ და მემუსიპერ დაფინანსონ უკრ-
სერუებდა.

შავრდები და თამარი კადევ მაღლა სიუროში და-
ნაფარდოდნენ, იქ ნერარაბდნენ და ნექტარს სმიღებნენ.

ზაალის შეფთხება საზღვანის გადგიდა, მან გეღარ
შესძლო თავ შეკავება და ზე-წამოხტა:

— მე, აატონი ახლა მსურს თქვენი უკრადების
სხვა გასართობით დაფიმიახერთ. მინდა განვეხოთ ხმალი,
აბჯარი მამის ჩემისა და ხმალის ტრიალი, მისი ხმარება
ზაალიშვილთა სამომავლისა...

უკალა განცვალდა ღხისის დარღვევის, მაგრამ
მასშიძედის დექმორნილნენ და უკან უბრებდნენ.

ზაალმა სწრაფად ხმალი გეღდიდან ძირის განკალით
და თქრთო შეტელით ქარქაშიდან ხელის განკალით ამო-
წევდინა.

— ხომ ხედავთ ამ ხმალს ჩინებულის? ეს ხმალი
ჩემი დამტველი, ამით გიმურობით იმ მტერია

გროვას, გინც გაბეჭავდა ჩვენ დაძირუბის, გვარის შე-
ცხმენის და მეტიცხარების თავების გრძიდით.

— და აი ეხდაც ღრო დადგა და ჯის!

— ამა, შავრდები მაღალა მდიდრო უშენებელი მამოდები!
ხმალი შენც ხომ გაქცხა მენთა შეუკრის დღეს ამ გა-
წვალია!

— ჩემთან!... მუხად ვარ ბატონი... მაგრამ ხიტ-
ულის ოქმა ადარ დასცალდე... და ნამზედ თავი მშენებით
საჭე შავრდების, მიწაზე ეპლო...

ხალხი გათცდა... საშინელე ამ იგი შეიძერო... თამარი
ადგა... თავზედ ღეხაქი მემთავრული, საკინა მეტობედ
ხამთიწვაორი და მამას მუხითალი შეთლოდე შეხედა და ეს
შეხედა დახვარზედ უფრო მწრელი ადმონება; ზაალი
მან დასცა შიშისა ზარი... ხმალი დადგარდა... გეღებს
მიეკალებით... მერმედ თამარმა სწრაფულ დაიხოქა და ჯერ
ისევ თბილის ბაგის სატროვოსას ის ეანბორა... გულმა
ჩაიგრა და მისი სისხლით მთლად შეიღება უბე და კად-
თა, მემდებ საჩქართ მან მიირბის კოშის სარკმელ-
თან და მისამ უფინანშე გრძნების მოვიდოდა, ძირი გადაეშვა.

უფრის ჩანთქა წევრილი კარსკელავი მანათობე-
ლი და ხალხმა დაკვირ მამა მეტობელი და სახლის მისსა
მრავალის ციხედ დღესაც უწოდების.

ეს. გაბაშვილისა.

მე მსურს სიცოცხლეე!

მზევ, იმობრწყინდი, განახლდეს კვნესა,
ამოაქოთონ ფიქრებმა გული,
რომ დაფეწაუო კვლავ სიცოცხლესა,
ახალ ტანჯვათა მოწყურებული.

ტანჯვებმა სული განმისპერაკეს,
გულში აღმიძრეს უმანკო ლოცვა,
ტანჯვებმა ლმერთთან მალაპარაკეს,
გადამავიწყეს მიწაზე ცოცვა...

მე მსურს სიცოცხლე: კვლავ ვიაზროვნო,
კვალიდ ვიტანჯო, დავლეარო ცრემლი,
დავკარგო სევდა, რომ კვლავ ვიპოვნო,
ფიქრთ გამოკედით დავსაჯო გრძემლი.

მე მსურს სიცოცხლე, გესმით, სიცოცხლე!
მინდა უყურო მიწასა, ცასა,
რომ განუყრელიდ მსღვევდეს სიობლე,
რომ განვიცდიდე მუღმივად წვასა!

ი. მჭედლიშვილი.

ნამცვლევი

თუ საქართველო აღარ იქნება, ქვა ქვაზედაც
არა ყოფილა.

*

ქართველი კაცი ყელსაც ორმატიჭრიდეს, გულს
მაინც არ გაიტეხს: იმ ახლა მოვა ჩემი მოკეთე და
დანას დამაგდებინებსო.

*

ქართველის დუქანში პირველად რომ შეხვალ,
დახლიდარი მასპინძლად დაგხვდება, მეორედ—ნათ-
ლიმამად, მესამედ კი—ბატონად.

*

ქართველს კაცს რომ დაუჯერო, ყველა ნაკლი
ქართველ კაცსა სჭირს, თვითონ კი—არც ერთი.

*

ქართველმა კაცმა ღმერთი ჭკუით იცნო, თავი-
სი მტერი კი ვერც ჭკუით და ვერც თვალით.

*

რაც უნდა გაიბეროს ქართველი ლენერალი,
რუსს პოდპორუჩიკს მაინც მეტი პატივი იქვს რუ-
სობაშიაც, ქართველობაშიაც.

*

მდიდარი ქართველის სახლი დლეს ქარვასლაა,
ზეგ—ნაოხარი.

*

რაც უნდა გაკადნიერდეს ქართველი მღვდელი,
რუსს დიაკვანს იმას ვერ გაუბედავს, რასაც ქართ-
ველს ეპისკოპოზს.

*

ქართველი ისე შეეჩია მონბას, რომ ბატო-
ნის გამოცვლა განთავისუფლება ჰგონია.

რიშ ბაბა.

უკანასკნელი ამბები

ილია ქავჭავაძის სახლის გამოსასყიდათ შე-
მოსწორეს:

მიხ. პეტრ. სარაჯიშვილმა	. 25 ა.
ექ. ნიკ. მ. მელიქიშვილმა	. 50 —
რევაზ ალექ. გაბაშვილმა .	50 —

ეურ. „კლდის“ რედაქტიონ .	25 —
ექ. ი. ნ. დიასამიძემ მეუღლითურთ .	50 —
ექ. ვახტ. სოლ. მუსხელიშვილმა შე- უღლითურთ .	• 100 ა.
დავით ვლ. ვაჩნაძემ მეუღლითურთ .	50 —
ექ. ვახტ. დავ. ლამბაშიძემ მეუღლლ .	50 —
ივ. ივ. ზურაბიშვილმა .	25 —
იოსებ ივანიძემ . . .	100 —
,,სახალხო გაზეთის“, რედაქტიონ .	25 —
ხარკ. ქართ. სტუდენტთა ჯგუფმა	11 ა. 50 ა.

ილიასეულ სახლის გამოსასყიდად შემო- სწირეს წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოებას კი- დევ შემდეგ პირებმა:	
ექიმ. თავ. ნიკ. ალ. ჯანდიერმა	50 ა.
თავ. ზ. დ. ბარათაშვილმა .	100 —
ალ. ბეს. მდივანმა .	25 —
აშ. ბეგოვმა .	100 —
ბ. ც. მდივანმა . . .	25 —
ნაფ. ვექ. ი. ა. ბარათაშვილმა .	50 —
თ. დ. გ. ჯორჯიძემ მეუღლითურთ	60 —
ბ. ნ. ჭრელაშვილმა .	22 —
თ. დ. ე. წოლოყაშვილმა .	25 —
ექ. ივ. ე. იიკანაძემ .	25 —
ალ. ბ. შიხინოვმა .	50 —
სულ . . .	560 ა.

7. შიუკაშვილმა შესწირა 25 მანეთი ქარ-
თულ სხვა და სხვა დაწესებულებათ, და იქედან
ხუთი მანეთი ილიასეულ სახლის გამოსასყიდად.

კიევის ქართველებში დ. მარინაშვილს და დ.
ნ. ნაზებცოვს შეუგროვებით ამავე მიზნისათვის
53 მან. 13 კ.

ყვარლის კოშკი. ყვარლის სამკითხველოს
გამგეობამ ამ ერთი თვის წინ „ახალ კლუბს“, მი-
მართა თხოვნით, სადაც იღნიშნა ილიას კოშ-
კის უმწეო მდგომარეობა და სოხოვდა დახმარე-
ბას. მასთან წარუდგინა ხარჯო-აღრიცხვა კოშკის
შეკეთებისა შედგენილი ლ. ზაურიაშვილის მიერ.
სულ გამოვიდა 400 მანეთი, რომელიც „ახალ
კლუბის“ მამასახლისთა საბჭომ ერთხად გადაუწ-
ევიტა. დიდის სიამოვნებით აღვნიშნავთ, როგორც
ყვარლის ინტელიგენტთა ინიციატივას, ისე „ახალ
კლუბის“, კეთილ განზრიახვას. ვვონებთ, რომ ეხლა
ყვარლის კოშკის შეკეთება, გამაგრება უზრუნველ-

ყოფილი იქნება, მგოსნის აკანიც მოვლილი და, როგორც ამასწინად ვწერდით, ბოლო მოეღება და უსრულებელ და ფუქსავარ წუწუნს და გოდებას.

ამ უამად თბილისში იმყოფება კომპოზიტორი დ. ი. არაყიშვილი, რომელიც მოუწვევია „ახალ კლუბს“ კონცერტის გასამართავად. კონცერტი გაიმართება საში იანვარს, და შესრულებული იქნება კომპოზიტორის ახალი ნაწარმოებნი. სხვათა-შორის შესრულებული იქნება „თუშ-ქალთა ცეკვა“ და სხვა.

ამ დღებში მოხდა შეერთებული კრება ოსმალეთის სომხების ოთხი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელთა. კრებამ ითათბირა იმის შესახებაც, თუ როგორი საერთო გეგმა შეიმუშაონ. კრება იმ აზრს დაადგა, რომ უმთავრეს ეროვნულ საკითხებში პარტიებს შორის უთანხმოება არ არსებობს.

ქართველ გლეხთა დაღადი. რედაქტიონი ცნობები მიიღო, რომ ქართლის რამდენიმე სოფელს მიუმართნია თხოვნით სათათბიროს დეპუტატებს ვ. გელოვანისათვის და კ. ჩხეიძისათვის. რომ მათ ყოველი ლონისძიება იხმარონ და ხიზანთა კანონ. პრექტი ასე უსამართლოდ და საქართველო შეთხრული ამიერ კავკასიის მთავრობის მიერ სათათბიროს არ მიაღებინონ. რაუგანაც, ამბობენ ქართველი გლეხები, თუ უკანასკნელი პროექტი კანონია იქცა, მა შინ ისეთ ძალზე შევიწროებულ და ბევრგან უმ-წა-წყლო ქართველ გლეხობას ტაქების და საძოვ-რების სარგებლობას ამ უამად სრულიად უსპობს და და სამუდამოდ ნუგეშს უკარგავს თდესმე მაინც თავის თვლით მორწყულ ალაგების საკუთრებად შეძენისას და ცოტადი მაინც გაწევისას.

მანეთი — ათ შაურად. როგორც შემთხვევით გავიგეთ შემდგარი სომეხთა ერთი ჯგუფი, რომელ-საც მიზნად დაუსახევს „სანადელო“ ფულის შეს-ყიდვა იმ შემამულეთაგან, რომელთაც ეს უკანასკნელი ახლო მომავალში უნდა ერგოს. მანეთში ათ შაურს იძლევიან ე. ი. ნახევარ ფასში ყიდულობენ. გავატრითხილებთ ქართველ მემამულებს, ცოტათი თავის შეკავება და მოთმინება გამოიჩინონ და ასე ფუქსავარ ნუ შეაჭმევინებენ ზუცხოვლებს თავის ქონებას, მით უფრო, რომ ეს ფული ერთი წლის შემდეგ უსათუოდ დაურიგდებათ. მასთან დეპუტა-

ტთ საკრებულოსაგან მოვითხვდთ, რომ იგი საჩქაროდ შეუდგეს დადგენილების სისრულეში მოყვანას, რომელიც ამ ფულიდან უონდის შეგროვებას შეეხება. ჩვენა ვფიქრობთ, რომ ჰარგი იქნებოდა ამ საქმისთვის განსაკურებულ კურტისის შეწყობა, რადგანაც მარტო მშენებრ მუშაობას შეუძლიან ამ როგორ საქმეში საჭირო ნაყოფის გამოტანა.

ტირიფონაში განსაკუთრებული სამხედრო კომისია დადის, იღებს სოფლის მიწების, სამოსახლეობის და თვით სახლების გეგმებს და უთვლის გლეხობას — მომავალ თებერვლიდან მიწებს ნულარ მოხავთო. სრულიად იყრება 11 სოფელი და 24 სოფელი უბამულოდ ჩჩება, ე. ი. ეს ფაქტიურად მათი აურა იქნება, ქართველი გლეხები საშინელ მდგომარეობას განიცდიან. შათ ოჯახებში ტირილი დგას და პატრონი არსად უჩინს. სამხედრო უწყება მათ კახეთში გადასახლებას უპირებს დაწვრილებითი ცნობებს უახლოეს ნომრებში მოვათვესებთ.

საკოოპერაციო სექციაში ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოებისაში თავის უკანასკნელ სხდომაზედ გადასწყვიტა დააარსოს ქ. თბილისში, ვერის რაიონში მომხმარებელი მაღაზია „მეურნე“. საზოგადოების წესდება და თხოვნა გუბერნატორს კიდევ წარუდგინეს დასამტკიცებლიდან.

რუსეთში გზავნიან ქართლის გრონომებს: (ხარკოვში და სხვა ქალაქებში) ე. კორბელაშვილს საერთო აგრონომიის საქმის საწყობის დასათვალი-ერებლად და ინსტრუქტორს ა. კახელიძეს მერძეობის და საკოოპერაციო კურსებზე.

საახალწლო ფოსტა

ვუსურვებთ:

ქ. შ. წ.-კ. გ. **საზოგადოებას** — „უსახსრობისა გამო“ ყველა სახსარის დაკარგვას.
დეპუტატთა საკრებულოს — კიდევ ორ „იუნკერს“. **საადგილ-მამულო კოშისრიას** — ბუხრისთვის შეშას, რომ არ შესტივდეს.

სამეურნეო საზოგადოებას — ერთს თვალგამოთხრილ მეურეს მაინც.

საზ. „კახეთს“ — ლოთების გამრავლებას.

ქ. **საურ.-ერ. ნდობის საზოგადოებათ** — ვექი-

ლების პროტესტებს.

ქ. საადგილ-ზავულო ბანკებს ქართულ მიწა-
წყლის გაყიდვას და პროგიმნაზიების გავრცე-
ლებას.

ქართველ შდადლებს ავტოკეფალიას „ბლიუდ-
ზედ“.

სოფლის მასწავლებლებს — მუნჯურ მეთოდს
ბავშვების დასამუნჯებლად.

ქართულ გიმნაზიას მესამედ ჩაგირავებას.

,,სახ. გაზეთს“ — რეზინს — საღეჭად!

,,ერს“ — Bravo!

,,ფიქრებს“ ,,სიტუაციას“
,,მერცხლებს“ და მათ ! სომხის სიუვარულს და
მსგავსს გაზეთებს — მეგობრებას სამარემდის.

უურ. „განათლებას“ საჩუქარს: „ასე ამბობდა ზა-
რატუსტრა“ თბილება ლ. ბოცვაძის.

,,თემს“ — ?! ...

,,ზაქ. რეჩს“ — გადატანას რედაქციისას ნავთლულ ში.

,,ზაქავაზიეს“ — მალაკნების და ლუხაბურების ოლ-
ტაცებას.

ბ. გოთუას — სურ-კარაპეტის შფარველობას.

ლ. ჟიფიანს — არამიანკის საავადმყოფოში დაბრუ-
ნებას.

თ. სიბირსკის — სომხურად და არა ქართულად წერის.

ბ. სტრელბიცკის — ახალ უკიფირო უდოკუმენტო
კანონ-პროექტების შედგენას და თავის „პათ-
რეტის“, ხალხისთვის უფასოდ დარიგებას.

ი. ხატისოვს — მაღალ „დამის“ მიერ შეკერილ
თეთრ შარვალს.

პოლიტენიკუმს ნავთლულ ში — სუფთა პაკის
ერთ მისხალს და „საქალაქო“ მიწებს.

ქართველებს — მანთაშევებს, აკულოვებს და შერე-
სასიამოვნო სიმღერას: „Послѣдній дне-
чекъ“-ს.

კახელებს — კახურ მრავალ უამიერისაგან მოსვენებას.

იმერლებს — ქართლ-კახეთში შემონიშვნას და უკა-
ნასკნელთა განთავისუფლებას სხვათა „ხიზნობი-
საგან“.

მთელ ქართველობას — ი. გოგებაშვილის საყმაწვი-
ლო მოთხოვნის წაკითხვას: „იავნანამ რა
ქნა?“

ლიმონა.

ქართული თეატრი 1913 წ.

შაბლონური ბასი თეატრის, მწევანულობაზედ
საზოგადოთ, — მის ესთეტიკურ-სისტემის გამარტინაცია
ბელ ღირსებაზედ, მის, გონების გამახალისებელ,
გრძნობის გამფაქიზებელ და ენის მაწრობობელ თვი-
სებაზედ; და კერძოდ — ჩვენს სამშობლო სცენა
ზედ, მარტოოდენ საცა ვითვისებთ ცოცხალი,
კულტურულ-ლიტერატურული ენით გამოოქმულს
აზრებს, საცა, ჩვენს უკუღმართობის დროს, თვით
პოლიტიკურ აღზრდასაც ებადება ძირები, — იქმნე-
ბა იტმოსუერია ერთსულოვნობისა, — ამ საგინზედ
ბასი შორის წიგვიყვანდა და მის სასტიკ მოთხოვ-
ნილებათა სფეროში, ქართული თეატრის წრევან-
დელი პროვინციის დაიჩრდილებოდა. ამ უმაღლესი სა-
ხმით რომ მივადგეთ ჩვენი ერთვნული რამპის შე-
სავალს, ბევრს სანუგებოს ვერისა ვნახავთ, რაღ-
გან ბუნებრივი ტალანტი, ღვთით ნაპოები, ბევ-
რია თითქო, მაგრამ წვრთნა კულტურული, შეგნე-
ბა საკუთარის დანიშნულებისა, განსკვრეტა სელოვ-
ნებითი ტიპისა — მეტად ნაკლები... ისე ნაკლები,
რომ... ეჭ, დღეს არ მინდა ამაზედ ლაპარაკი.

დღეს ქართული თეატრი გარდამავალ ხანა-
შია და ამიტომ კრიზის განიცდის: ერთის მხრივ
ბლობადაა ძალა შემოქმედებისა, ის ნიჭი, რომლიდა-
ნაც იფურჩენებიან უცხო უვაკილნი ადამიანის ჰე-
ნისა, და მეორეს მხრივ მეტად ნაკლებია მკაცრი
ხელი, რომელიც ხელოვნებისთვის არ ჰოგავს პი-
როვნებასაც კი, ამ უმაღლეს წერტილს არსებისას. ხელოვნება თვით არის „განპიროვნება, გამოკვეთა,
გამოსურათება ზენაარ იდეათა“ და ამიტომ მისთვის,
როგორც უმაღლეს ღვთიურ პირისათვის — არ არ-
სებობს სახე ცალკე პირისა.

მხოლოდ ამ იდეის მიაბლოვებით მიაღწია რუ-
სულმა „სამხატვრო თეატრმა“ გთლიანობის
აპოვების; თუმცა, უნდა გამოვსტყდეთ, ეს მთლია-
ნობა მეტად ძვირად უჯდება მაყურებელს რა-
კი ხელოვნებისათვის გალახულია ხშირად თვით
სული ნაწარმოებისა. ამ მხრივ ჩვენი სამშობლო
სცენა უფრო მეტს ეკირფას მას აღას წარმო-
ადგენს, რაღვან არასოდეს მზიური ტემპერამენტი
ჩვენის ერთსა არ ჩაიკვეცება ისეთ ვანსაზღვრულ
ფორმაში, როგორმაც ყალიბდება ჩრდილოები.
სამხატვრო თეატრში ბევრია სიმბოტიკა; თუ ით-
ქმის ასე, მაგრამ ნაკლებია თვით სინამდვილე, სი-

ცოცხლე. და რაღაც თვით ბუნებამ მოგვანიჭა, მზის სხივთა საშუალებით, ტემპერამენტი ინდივიდუალისტური, ჩვენ უფრო მეტი გვმართებს დისკიპლინა ერთობისა, მაგარი ხელი, შემაკავშირებელი ცალკე რკალთა და აქ, სცენაზედ უდიდეს აღილს იჭერს რეჟისურა. რეჟისორი ისეთივე შემოქმედია, ისეთივე ძალა უჭირავს ხელთა, როგორც იუპიტერს, როცა იგი ელლინთა აულტურულ ცხოვრებას ხაზივდა და აყალიბებდა, ან როდესაც რომაელთა ლეგიონერებს ქვეყანასა ჰყენდა, ერთი მთლიანი სურათის გამოსაქანა კეცებლად... საკაცობრიო სურათისა. რეჟისორი მშრალებელი და იმავე დროს საყვარელი მშრალებელია მსახიობთათვის, რომელიც მისი გონების, ესთეტიკური გემოვნების და შეგნების სალაროს ექვემდებარებიან.

გვყავს თუ არა, ისეთი რეჟისურა? არა, ჯერ არა! და მხოლოდ კი მას შეუძლიან ამოკრება იმ თვალმარგალიტისა, რომელიც უხვადას გაფანტული ჩვენს სცენაზედ, რომ მათგან უკვდავი გვირგვინი დაადგას სამშობლო მელპომენას.

უველა ამისათვის კი სიყვარულია საკირო, საქმისადმი დიდი სიყვარული და შრომა. ეს უკანასკნელი კი შეტად უცნობი ხილია ჩვენ მსახიობთათვის. ძველი არტისტებისათვის სულ ტყუილი ლაპარაკია, რომ როდისმე შეეთვისნენ შრომას, იცოდნენ მაინც როლი, რაც უფრო სავალალოა, ეს საძაგელი სენი ახალგაზრდებშიც იყიდებს ფეხსა. მოელს შთაბეჭდილების ახდენს და გულს უმლვრევს ადამიანს ის მდგომარეობა, როცა რომელიმე შანშიაშვილი, (რომელიც არ უთუ ნიკით არის დაჯილდოვებული), ციციშვილი, ჯავახიშვილი, ან თუნდ ისეთი ნიჭიერები, როგორც დავითაშვილი, ქიქოძე, და სხ. — ივიწყებენ როლის სიტყვებს და შეჩერდებიან ან უმატებენ საკუთარს. როდესაც შეემლებან და არ იციან საით უნდა გასვლა, სად დადგომა და სხვა. ესეთი წვრილმანები ჰქონტავენ ილიუზიას, გიკარგავენ ესთეტიკურ ტკბობას და განა გასაკვირველია, რომ ჩვენი ინტელიგენცია ერიდება ქართულს თეატრს, რომ თავისი უფრო განვითარებული გრძნობა ოპერაში და სხვა თეატრებში დატკბოს. გაკიცხვით და დაცინვით ჩვენი ინტელიგენციის აბსენტეიტი არ გამოსწორდება, თუ თვით მიზეზი ამ მოვლენისა არ მოვიშორეთ თავიდან, თუ არ სრულ-ვყავით ჩვენი ტაძარი ხელოვნებისა. ღვთის მადლით, ბეჭა დეკორაციები, ბუტფორი ან-ა-სის-ები და სხ. თითქო საქმიოდ კარგები გვაქვს, ტენდაკურის მხარე თანდათან უმჯობესდება,

— ხანდახან პირდაპირ ხელოვნების ნამდვილ ტაძარში გრძნობს აღამიანი თავს („ედის მეფე“, „ანტიგონე“ „ცეზარი და კლეოპატრა“ და სხ. მრავალი), მაგრამ უველა ეს უკან იხევს, როგორმეტებულს სიტყვები უელში გაეჩირება, ან ჩართნების დამატებით სცენაზე თუ ბულვარზედ. ამ წვრიმალებს ისიც ერთვის, რომ ჩვენი არტისტები ყოველნაირ როლს კისრულობენ და თითქო ხალხის წინაშე გამოცდასა ნიშნავენ. რამდენჯერმე მომზღარა, რომ ერთს და იმავე პიესაში, სხვა და სხვა დროს როლები შეუცვლით არტისთა შორის და ის, ენც მარიამს თამაშობდა, თეკლეს როლს ასრულებს და თეკლე კიდევ გურანდუხტისას. ასეთი ცდა შინაურობაში უნდა ხდებოდეს, თორემ როცა ქ-ნი ჯავახიშვილი ზეინაბის როლს თამაშობს ან ქ-ნი დავითაშვილი გაიანეს — ეს რაღაც უცეულო უხერხელობასა ჰპადებს.

უველა აშას არ შემიძლიან არ დაუმატო, რომ ევროპიული ისტორიული პიესების დადგმის დროს — მეტი უურადღება უნდა მიექცეს გარეგნულ ფორმას, თორემ ჩვენი მსახიობნი, ქალნი თუ კაცნი, ჰერცოგებისა, პრინცებისა თუ გრაფინიების როლში საყველიეროდ კარნავალს გვავონებენ ხოლმე და არა რეილურად არსებულ პიროვნებათ.

აი, გაკვრით რა ითქმის ჩვენს თეატრზედ, რომელმაც 1913 წ. დიდი ნაბიჯი წასდგა წინ გარეგნული ფორმებითაც და ცოტა შინაარსითაც და თუმცა ნაკლი პევრისაგან ბევრი ჰქონდა, იგი ნაკლი არა ორგანიული ხასიათისაა. მაშასადამე თამად ითქმის, რომ... „მარც ბრუნავსო“ და ეგების 1914 წელმა სრულადაც „შეაპრუნოს“ ღვთის სიმართლის გზისაკენ. უსურვოთ რომ ახალმა წელმა ახალი ნაყოფი შექმატოს მის ძვირფასს, გადუფურჩქვნელ ყვავილნარს.

რაც.

შემდეგი ნომერი გამოიგება 12 იანვარს.

რედაქტორ-გამომცემელი

რ. გაბაშვილი.

გ ა ნ ც ხ ა ჩ ე ბ ა ნ ი




ხეხილების გასხვლა

ს. ს. ხეთაგურის სანერგე

მსურველთ აწვდის გამოცდილ მებაღებს ხეხილის გასასხვლელად. ცნობების მიმართვა
შეიძლება წერილობით: თბილისი, ს. ს. ხეთაგურის სანერგე.

■ ■ ■ Тифлисъ питомники С. С. Хетагури. ■ ■ ■

1894 წლიდან



1913 წლამდის

ს ა უ ბ ე თ ე ს თ ღ ვ ი ნ ღ ი ნ ღ ი ნ ღ ი ნ ღ

— — — საზოგადოება „პ ა ხ ე თ ი“-სა — — —

ტელეფონი:
№ 73 და 3—51.

თბილისი: გოგოლის ქუჩა 63
და ერევნის მოედანი.

განყოფილებანი: ბაქოში, ასხაბადში, ტაშკენთში, მოსკოვში, ბათუმში, რასტოვში და სხ.